

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

2015 წლის 29 მაისი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. ახესაძე ნინო 4. სოსიაშვილი თათია 5. გოდერძიშვილი ლია 6. ბერუაშვილი ანზორი 7. ხომერიკი რამაზი 8. თუთბერიძე ბექანი 9. მაჭავარიანი ლია 10. გეგეჭკორი არნოლდი 11. ხაჩიძე მანანა 12. ბექაური ბექა 13. ბახტურიძე პაატა 14. თუმანიშვილი გიორგი 15. თოდუა ნონა 16. კუპრაძე ირაკლი 17. ოკრიბელაშვილი ნინო 18. გიორგაძე გიორგი 19. წერეთელი მარი 20. ლორთქიფანიძე ლევანი 21. საბაური შალვა 22. ჟვანია ირინე 23. ჩახუნაშვილი ნინო 24. დადეშქელიანი ბექა 25. ლორია კახაბერი 26. გორდუზიანი ლევანი 27. გელოვანი ნანი 28. თაბუაშვილი აპოლონი 29. ოთხმეზური გიორგი 30. ჯებაშვილი ნანა 31. მინდიაშვილი თეონა 32. სამხარაძე ლაშა 33. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. გერსამია მარიამი 4. ცერცვაძე თენგიზი 5. სურგულაძე ნუგზარი 6. ომანაძე როლანდი 7. სილაგაძე ავთანდილი 8. მარშავა ქეთევანი 9. ჭკუასელი ქეთევანი 10. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების დამტკიცება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის დამტკიცება
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის ანგარიშის განხილვა
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის საკითხი
5. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 6 აპრილის №48/2015 დადგენილების დამტკიცება
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულების დამტკიცება

7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულების დამტკიცება

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის კონკურსის მოსამზადებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი

9. იურიდიული დეპარტამენტის განცხადების განხილვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი. ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. უმთავრესი აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის ვადებია, კერძოდ, ახალი მოწესრიგების თანახმად, პროფესორი თანამდებობაზე აირჩევა 9, ხოლო ასოცირებული პროფესორი - 7 წლის ვადით. ამასთან, უნივერსიტეტს შესაძლებლობა მიეცემა, პროფესორთან უვადო შრომითი ხელშეკრულება დადოს. მსგავსი ხელშეკრულების დადების პირობები და წესი კი აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ განისაზღვრება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა - ბატონმა ლევან ლორთქიფანიძემ, ქალბატონმა ნონა თოდუამ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. მიღებულ იქნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი. (დანართი 3) 2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმოადგინა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2014 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში. საკმაოდ მოცულობით ანგარიშში თემატურადაა წარმოჩენილი უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის მიერ შესრულებული საქმიანობა, შესაბამისი დეპარტამენტებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. ბატონი დავით ჩომახიძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ბევრი პრობლემა აქვს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფრასტრუქტურული ხასიათის სირთულეები, არსებული რესურსების გამოყენება მაქსიმალურად საერთო-საუნივერსიტეტო საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ დადებითად შეაფასა ადმინისტრაციის მიერ 2014 წელს შესრულებული სამუშაო და აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია კვლავაც აგრძელებს არსებულ პრობლემებზე მუშაობას და უკვე 2015 წელს დაგეგმილია მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, რომელიც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის პროცესს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ, ზურაბ გაიპარაშვილმა, გიორგი ოთხმეზურმა, ირაკლი კუპრაძემ, აპოლონ თაბუაშვილმა, ბექან თუთბერიძემ, აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნანი გაფრინდაშვილმა და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა ირაკლი კუპრაძემ და ლევან ლორთქიფანიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტ ბექა კობახიძესთან დაკავშირებული საკითხი და საბჭოს წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაზე გარკვეულ სტუდენტთათვის სწავლის ღირებულების გაზრდის თაობაზე. შესაბამისი ფაკულტეტების პროფესორებმა აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატეს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში (დანართი 4)

3. რექტორისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსმა, ქალბატონმა მზექალა აჭაიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო აკადემიური საბჭოს 2014 წლის ანგარიში. მისი განმარტებით, ანგარიშში წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები, ასევე, ინფორმაცია აკადემიური საბჭოს არჩევნების თაობაზე, რომელიც 2014

წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგანაც შეიქმნა ახალი ფაკულტეტი, შესაბამისად, გაიზარდა აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობაც.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდეზიანმა, აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის ანგარიში (დანართი 5) მიღებულ იქნას ცნობად.

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის საკითხი. მისი განცხადებით, აღნიშნული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები კანონმდებლობით დადგენილი წესითაა აღრიცხული, მათ ჩამოსაწერად კი აუცილებელია წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნონა თოდუამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის თაობაზე (დანართი 6)

5. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა რამაზ აბესაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის

სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 6 აპრილის №48/2015 დადგენილება. ეკონომიკის ინსტიტუტი უნივერსიტეტს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეუერთდა, თუმცა აქამდე არ ჰქონია ახალი დებულება. ინსტიტუციური ავტონომიის შენარჩუნებით, ინსტიტუტმა გადაწყვიტა სრული ინტეგრაცია უნივერსიტეტში. ინსტიტუტის დებულება აკადემიური საბჭოს დადგენილებითაა მიღებული და საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - გიორგი ოთხმეზურმა და ლევან გორდეზიანმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 6 აპრილის №48/2015 დადგენილება. (დანართი 7)

6. საგამოცდო ცენტრის უფროსმა, ქალბატონმა მანა ჩილვინაძემ წარმოადგინა საგამოცდო ცენტრის დებულების პროექტი. მისი განმარტებით, ცენტრს ემატება ახალი განყოფილება, იზრდება მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. ამასთან, დაზუსტდა რამდენიმე ტექნიკური საკითხი და დებულება გაიმართა სამართლებრივი თვალსაზრისითაც.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ქალბატონმა მანანა ხაჩიძემ, ბატონმა ნუგზარ თოდუამ, ბატონმა ლევან გორდეზიანმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულება (დანართი 8)

7. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ნიკა მიქაუტაძემ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულების პროექტი. მისი განცხადებით, უნივერსიტეტში სტუდენტების რაოდენობის ზრდამ განაპირობა დეპარტამენტის დამატებითი დატვირთვა, შესაბამისად, საქმიანობის უკეთ ორგანიზებისათვის დეპარტამენტში იქმნება ახალი სტრუქტურა. დებულების პროექტი შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ზურაბ გაიპარაშვილმა, ბეჟან თუთბერიძემ, შალვა საბაურმა და აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება. (დანართი 9)

8. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის კონკურსის მოსამზადებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტს ოფიციალური ჰიმნი არ გააჩნია. გერბთან და დროშასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითმა საბჭომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, შესაბამისად, უპრიანი იქნება, თუკი უნივერსიტეტს ჰიმნიც ექნება, მით უმეტეს, ამას წესდებაც ითვალისწინებს. პირველ ეტაპზე აუცილებელია შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჰიმნის კონკურსს მოამზადებს და წინასწარ აუცილებელ სამუშაოებს განახორციელებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ და აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის კონკურსის მოსამზადებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ზურაბ გაიპარაშვილი, ირაკლი კუპრაძე, ლია გოდერძიშვილი, შალვა საბაური, ბექა დადემქელიანი, ლია მაჭავარიანი, გიორგი ოთხმეზური და ბექან თუთბერიძე.

9. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს გააცნო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სასამართლო დავასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მისი განცხადებით, 2013 წლის 17 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა დავით ბერეკაშვილმა და მოითხოვა მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამოიტანა და მასში აღინიშნა, რომ დავით ბერეკაშვილის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ იქნა ჯეროვნად შესრულებული, რაც გასაჩივრებული ბრძანების კანონიერებას ადასტურებს. გადაწყვეტილებაში, ასევე, მითითებულია, რომ პოლიტიკურ ზეწოლას, რაზეც დავით ბერეკაშვილი, როგორც მისი გათავისუფლების მიზეზზე აპელირებდა, ადგილი არ ჰქონია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დავით ბერეკაშვილის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ სადავო პერიოდში დავით ბერეკაშვილის სამსახურში გამოუცხადებლობა მასთან სამსახურებრივი ურთიერთობის მოშლისთვის საკმარისი საფუძველი იყო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კვლავ გასაჩივრდა დავით ბერეკაშვილის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუბრუნა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებაში მიუთითა, რომ უნივერსიტეტის ნებისმიერი პერსონალის, მათ შორის, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის, ვალდებულება იყო სარეგისტრაციო აპარატის მეშვეობით სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან წასვლის ფაქტის დადასტურება და ამ ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. ამავდროულად, საქმის მასალებისა და თავად მოსარჩელის განმარტების

საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არ სარგებლობდა აღრიცხვიანობის ბარათით და ასევე, დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავო პერიოდში სამსახურში არ გამოცხადებულა. საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელე სამუშაოდან უკანონო მითითებების (ზეწოლის) საფუძველზე არ გაუთავისუფლებიათ და აღნიშნა, რომ დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, მხოლოდ გაცდენილ დღეთა რაოდენობას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენასთან ერთად, აუცილებლად უნდა დადგინდეს, თუ რა შედეგი გამოიწვია ამ გადაცდომამ, ან რა შედეგი შეიძლება გამოეწვია მას დამსაქმებლისათვის. უზენაესი სასამართლოს განჩინებაში, ასევე, მითითებულია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევისას, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება. ეს ის შემთხვევაა, როცა ცხადია, გაფრთხილება უშედეგოდ ჩაივლის, ანუ ობიექტური კრიტერიუმები მიუთითებენ გაფრთხილების მიცემის უსაფუძველობაზე.

უზენაესი სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საქმე დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში და განსახილველად მოსამართლეთა იმავე შემადგენლობას გადაეცა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია, რომ დავით ბერეკაშვილის მიერ სამსახურის არასაპატიოდ გაცდენამ გამოიწვია უარყოფითი შედეგი. ბატონი არჩილ კუკულავას განცხადებით, მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უნივერსიტეტს არ უნდა გაეთავისუფლებინა დავით ბერეკაშვილი დაკავებული თანამდებობიდან. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტს შეეძლო არ გამოეყენებინა გაფრთხილება და დამატებითი ვადა, თუ აშკარა იყო, რომ ამ ზომების გამოყენება შეუძლებელი იყო, ან უშედეგოდ ჩაივლიდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტმა გაასაჩივრა, თუმცა უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი.

ბატონმა არჩილ კუკულავამ, ასევე, აღნიშნა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვალდებულია აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა უნივერსიტეტი ყველა ღონეს ხმარობს, რათა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში იქონიოს რეაგირება აღნიშნულ საკითხზე და აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი მიმართავს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური საჩივრით იმ მოსამართლეთა მიმართ, რომელთა ქმედებაში, უნივერსიტეტის აზრით, შესაძლოა კანონის დარღვევის ფაქტის არსებობა დადგინდეს და გაასაჩივრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მიღებული გადაწყვეტილების შეცვლაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად

მივიჩნიეთ, აღნიშნულ საკითხზე წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოებისთვის დეტალური ინფორმაცია მიგვეწოდებინა, - დასძინა ბატონმა არჩილ კუკულავამ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი ოთხმეზურმა და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:

კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:

დimitრი გეგენავა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2015 წლის 29 მაისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი


პროფესორები:

• შაბურიშვილი შოთა

• თოდუა ნუგზარი

• მექვაბიშვილი ელგუჯა

• აბესაძე ნინო




სტუდენტები:

• სოსიაშვილი თათია

• გოდერძიშვილი ლია

• ბერუაშვილი ანზორი




ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

• გოგინავა უშანგი


- ხომერიკი რამაზი



- თუთბერიძე ბეჟანი




- მაჭავარიანი ლია




- გეგეჭკორი არნოლდი

- ხაჩიძე მანანა



სტუდენტები:

- ბეჟაური ბეჟა




- ბახტურიძე პაატა



იურიდიული ფაკულტეტი


პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი



- ცისკაძე მარიამი

- თოდუა ნონა



სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა

- კუპრაძე ირაკლი



მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

ნ.ოქრიბელაშვილი

სტუდენტები:

- გორგაძე გიორგი

გიორგი გორგაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

მ.წერეთელი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ლევანი ლორთქიფანიძე
შალვა საბაური

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

ირინე ჟვანია

- ჩახუნაშვილი ნინო

ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი

ლ. კახაბერი

- გორდეზიანი ლევანი

გ. გორდეზიანი

- გელოვანი ნანი

ნ. გელოვანი

- თაბუაშვილი აპოლონი

ა. თაბუაშვილი

- ბრაჭული ირაკლი

ი. ბრაჭული

- ოთხმეზური გიორგი

- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეზაშვილი ნანა

ნ. ჯეზაშვილი

- მინდიაშვილი თეონა

თ. მინდიაშვილი

- სამხარაძე ლაშა

ლ. სამხარაძე

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი


- გაიპარაშვილი ზურაბი

ზ. გაიპარაშვილი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2015 წლის 29 მაისი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)



- გაფრინდაშვილი ნანი

- ქურდაძე რამაზი

- გოგსაძე გიორგი

- გერსამია მარიამი




- ცერცვაძე თენგიზი

თ. ცერცვაძე

- გალდავა გიორგი

- კოპალეიშვილი მაია

- სურგულაძე ნუგზარი




- სამსონია შოთა

- ომანაძე როლანდი




- სილაგაძე ავთანდილი




- მარშავა ქეთევანი



- ჭკუასელი ქეთევანი



- აბაშიძე თამარი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №/ნ
2015 წლის - ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უნივერსიტეტს აქვს თავისი გერბი, დროშა და ჰიმნი.“

2. მე-5 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, შექმნის ან გაუქმების შესახებ (გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებად რეორგანიზებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა) იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებითა და ამ წესდებით დადგენილი წესით დამტკიცებული შესაბამისი დებულებით.“

3. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ (გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებად რეორგანიზებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა) და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს;“

4. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.“

5. 29-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 9 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 7 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.“

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „5“ პუნქტი:

„5¹. პროფესორის თანამდებობაზე არჩეულ პირთან შესაძლებელია გაფორმდეს უვადო შრომითი ხელშეკრულება.“

გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-5 და მე-5¹ პუნქტებით განსაზღვრული პირობებითა და მოთხოვნებით აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და უვადო ხელშეკრულების გაფორმების წესი განისაზღვრება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით.“

6. 32-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დაცვით.“

7. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 4 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.“

8. 41-ე მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „4“ პუნქტი:

„4¹. დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერება გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.“

მუხლი 2. ეს ბრძანება გარდა მე-5 პუნქტის ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. ამ ბრძანების მე-5 პუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის პირველი სექტემბრიდან.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ა ნ გ ა რ ი შ ი

შინაარსი:

სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა ----- 3-14 გვ.

რესურსების მართვა ----- 14-25 გვ.

საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები
და ურთიერთობა საზოგადოებასთან ----- 25 – 34 გვ.

საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა,
კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი,
უსაფრთხოების დაცვა ----- 34-41 გვ.

საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში, სხვა
აქტუალური საქმიანობა ----- 41-43 გვ.

I. სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

2014 წლის განმავლობაში *სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის* ინიციატივით, თანამშრომლობითა და ხელშეწყობით პერმანენტულად წარმოებდა სამუშაო შეხვედრები მიმდინარე სამეცნიერო, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე; პერიოდულად მიმდინარეობდა ადგილობრივი/საერთაშორისო ფონდების (**SRNSF, GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS** და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობა, ინფორმაციის გავრცელება. საკონკურსოდ წარსადგენი საგრანტო პროექტების წინასწარი მონიტორინგი, აღრიცხვა და, საჭიროებისამებრ, კონსულტაციების გაწევა; პერმანენტულად მიმდინარეობდა საერთაშორისო ფონდების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობის მიზნით; თსუ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან წარმოებდა პერმანენტული შეხვედრები ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის გარშემო; პერიოდულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი; მუდმივად მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტთა ბაზის შევსება და დოქტორანტთა ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირება; განხორციელდა მუშაობა სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „თსუ მეცნიერების“ სამეცნიერო-საორგანიზაციო ფუნქციის უზრუნველსაყოფად; მომზადდა თსუ-ის სამეცნიერო აქტივობის მიმოხილვა; მომზადდა თსუ-ს 2014 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში და წარედგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას;

სამეცნიერო სფეროში მომზადდა და განახლდა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის გაცემის წესი. განხორციელდა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია ქართველოლოგიაში“ კონკურსის ორგანიზება; მიღებულია დებულება პოსტდოქტორანტურის შესახებ და გამოცხადებულია მიღება საკონკურსო და არასაკონკურსო წესით; სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სტიპენდიის დაწესების შესახებ დებულების თანახმად გამოვლენილია რექტორის სტიპენდიატები; შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები თსუ-ის აკადემიური პერსონალისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალთან გაიმართა შეხვედრები; შეიქმნა და დამტკიცდა თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულება; განხორციელდა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების შემუშავება.

2014 წელს ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა 11 კონფერენცია/სიმპოზიუმი/კონგრესი, მათ შორის ჩატარებული 7 კონფერენცია თსუ-ის მიერ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგადაა მოპოვებული (სულ ამ კონკურსის ფარგლებში თსუ-მ მოიპოვა 9 საკონფერენციო გრანტი); „დიგიტალური ჰუმანიტარია – ქართველოლოგია და XXI საუკუნის გამოწვევები“ - ზამთრის სკოლა (1.03.2014); პიტ რივერსისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია ვარძიაში (12.04.2014); ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი (2014 წლის 23-25 აპრილი). „სამხრეთ კავკასიის გეოლოგიური მეცნიერებები“- ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია - თსუ, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი (13.05.2014);

„საზაფხულო სკოლა „თანამედროვე მიღწევები ბიოჩიპების ტექნოლოგიაში“ (9.06.2014); თსუ გამოფენაზე „ქართული ინოვაციები და გამოგონებები ბიზნესისთვის“ - ექსპო-ჯორჯია (10.07.2014); სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020 მემორანდუმის გაფორმება (15.07.2014); თსუ საზაფხულო სკოლა „ციფრული კვლევის მეთოდები ფილოლოგიურ მეცნიერებებში“ (25-29.08.2014); მას-სპექტომეტრიის მე-10 საერთაშორისო კონფერენცია ნავთობქიმიასა და ეკოლოგიაში Petromass 2014 (2.09.2014); XIX საერთაშორისო კონფერენცია/სემინარი პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ელექტრომაგნიტურ და ბგერითი ტალღების თეორიაში, DIPED-2014 (22-25.09.2014); გაფორმდა თსუ-სა და თსუ დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი (27.11.2014).

თსუ-ის თანამშრომლებისთვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგები/საინფორმაციო შეხვედრები: საინფორმაციო სემინარი ERASMUS + საგრანტო პროგრამის შესახებ (7.03.2014); პირველი EAST-HORIZON საინფორმაციო შეხვედრა (11-12.09.2014); ტრენინგი ELSEVIER-ის მიერ შემოთავაზებული პროდუქტების გამოყენებაზე (15.10.2014); რუსთაველის ფონდის წარმომადგენლის საინფორმაციო შეხვედრა დოქტორანტებთან (3.12.2014); კომპანია „ELSEVIER“-თან თანამშრომლობით და ხელშეწყობით, დეპარტამენტმა საქართველოს უნივერსიტეტებისთვის ელსევიერის მიერ შემოთავაზებული პროდუქტების გამოყენებაზე ჩატარა ტრენინგები შემდეგ ორგანიზაციებში: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; გ.ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვისა კვლევის ეროვნული ცენტრი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხელშეწყობა უნივერსიტეტში ხორციელდება **სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის** მიერ, რომელმაც წლის დასაწყისში დაგეგმა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ამოცანები და მოახდინა მათი განხორციელება.

მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან, სხვადასხვა სამინისტროებთან და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. 2014 წელს არაერთი სამუშაო შეხვედრა მოეწყო ფაკულტეტების დეკანებთან. მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

ადმინისტრაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხობდა როგორც ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებსა და სოციალურ ქსელში დასმულ შეკითხვებს, ასევე ელფოსტით (academicaffairs@tsu.ge) შემოსულ წერილებს.

ადმინისტრაცია ახორციელებდა სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან:

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან - იგზავნებოდა პასუხები მოთხოვნილ ინფორმაციაზე და უნივერსიტეტში გამოცემული სამართლებრივი აქტები.

✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს - დასკვნისათვის ეგზავნებოდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანებების პროექტები და სტუდენტთა დოკუმენტაცია გრანტის საკითხთან დაკავშირებით.

✓ „რესპუბლიკა“, „ლიბერთი“ და „თიბისი“ ბანკებს - პერიოდულად მიეწოდებოდა ინფორმაცია თსუ-ში ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების შესახებ.

მომზადდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები: სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მობილობისა და შიდა მობილობის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სტუდენტთა პირადი საქმის გახსნის შესახებ, მობილობისათვის ვაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ, დოქტორანტურაში და მაგისტრატურაში მიღების გამოცხადების შესახებ, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ (პროფესიული მომზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ და სხვ.

2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ში ჩატარდა პროფესიული ტესტირება. შესაბამისად განხორციელა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველი აპლიკანტების რეგისტრაცია და მომზადდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები: ტესტირების ვადებისა და პროცედურის განსაზღვრის შესახებ, ტესტირებისა და საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, პირველად საფეხურზე ჩასარიცხი აპლიკანტებისთვის პროცედურული ვადების განსაზღვრის შესახებ, პირველადი საფეხურის სტუდენტებისათვის 2014-2015 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ.

ადმინისტრაციამ უზრუნველყო 2014-2015 სასწავლო წლისათვის „სტუდენტების გზამკვლევის“ (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავება. მოძიებული და დამუშავებული იქნა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია: შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის, პირველსემესტრელი ბაკალავრებისათვის, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის.

ადმინისტრაცია ამ მიმართულებით მონაწილეობდა დოკუმენტების შედგენასა და ექსპერტიზაში:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №48/2014, 09.06.2014, აკად. საბჭოს დადგენილება №64/2014, 14.07.2014);

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი და უცხო ენის ცოდნის განმარტების წესი (აკად. საბჭოს დადგენილება №49/2014, 09.06.2014, აკად. საბჭოს დადგენილება №110/2014, 27.10.2014);

3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (აკად. საბჭოს დადგენილება №79/2014, 04.09.2014);

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (აკად. საბჭოს დადგენილება №116/2014, 08.12.2014);

5. პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან/და

დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენისა და ფაკულტეტებზე სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (ბრძანება №213/01-01, 05.12.2014).

განხორციელდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთვების (ფორმა №5) და სასწავლო-სამუშაო გეგმების (ფორმა №2) შედარება.

ადმინისტრაცია მონაწილეობდა უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე 243 აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში.

მომზადდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან, უცხოელ სტუდენტებთან და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებთან/მაგისტრანტობის კანდიდატებთან/სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტები: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკადემიურ უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატთა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ფაკულტეტებზე ჩარიცხვის თაობაზე; მობილობისა და შიდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე; განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე; სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი (შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, დამატებითი სემესტრი) - 851 პროექტი; რექტორის მიერ გამოცემულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და ცვლილებების თაობაზე - 329 პროექტი; საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მიღწეული აღიარებული კრედიტების საფუძველზე სემესტრის განსაზღვრის თაობაზე - 76 პროექტი.

ადმინისტრაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობისა და თსუ-ს მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ - ENIC/NARIC-თან, უცხოეთის ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, უცხოეთის საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების სახელმწიფო სააგენტოებთან, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ნაციონალურ ცენტრებთან, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების საერთაშორისო განყოფილებებთან და სხვა. მომზადდა 150-მდე კორესპონდენცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელის ორგანიზაციებიდან გამოგზავნილ წერილებზე, რომლებიც ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობას. ასევე, საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურასთან.

გამოცემულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტები: დიპლომისა და დიპლომის დანართის დუბლიკატის გაცემის შესახებ, დიპლომისა და დიპლომის

დანართის შესწორების თაობაზე, კურსდამთავრებულთა პირად საქმეში ცვლილების შეტანის თაობაზე.

არქივს გადაეცა თსუ-ს 2009 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომები თანდართული დანართებით და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალები; განახორციელა უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართების ასლებისა და სხვადასხვა ტიპის 160 ცნობის დამოწმება და გაცემა.

ადმინისტრაციამ უზრუნველყო:

- ✓ 2014-2015 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების, უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების, მობილობით გადმოსული სტუდენტების ხელშეკრულებების დამოწმების პროცედურა რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.
- ✓ წვევამდელთა აღრიცხვა და 4000 ცალი ფორმა №26-ის (სტუდენტ ვაჭებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი ცნობა) მომზადება და გაცემა; 2300 პირველკურსელის ცნობის გადაგზავნა შესაბამისი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.
- ✓ ყოფილი თეუსუ-ს კურსდამთავრებულების პირადი საქმეების გარკვეული რაოდენობის მოწესრიგება, მასალების დაარქივება და გადაცემა თსუ-ს არქივისათვის.
- ✓ დამზადა: 3433 დიპლომი, 157 დიპლომის დუბლიკატი, 13 მოწმობა, 7 მეორადი სწავლების სერტიფიკატი, 259 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი, 760 სხვადასხვა სახის ცნობა, 2006-2007 წლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმისთვის დიპლომების 5200 ასლი, თსუ-ს კურსდამთავრებულებისათვის - 520 ცნობა.
- ✓ შეცვალა - 262 დიპლომი, 501 დიპლომის დანართი.
- ✓ არქივს გადაეცა - 450 შეცვლილი დიპლომისა და დიპლომის დუბლიკატის ასლები თანდართული დოკუმენტებით.
- ✓ საუტილიზაციოდ მომზადდა (ჩაუტარდა აღწერა, ტექნიკური დახასიათება) და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარუდგინა 2010 წლის გამოუყენებელი დიპლომის ფორმები (1674 ცალი).

საგანმანათლებლო რეესტრის წარმოების მიზნით მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან.

ადმინისტრაციამ განახორციელა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრსა და 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლება. აღნიშნული ინფორმაციის შეტანა მოხდა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაშიც.

ადმინისტრაციამ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დააფიქსირა 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტში ჩარიცხული 6559 სტუდენტის (4674 ბაკალავრი, 1274 მაგისტრანტი, 297 დოქტორანტი, 314 - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) სტატუსი და შეიტანა ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებები. იგივე პროცედურა განხორციელდა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტზე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

ადმინისტრაციამ უზრუნველყო:

- ✓ 2014 წელს თსუ-ში გარე მობილობის წესით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ჩარიცხული 334 სტუდენტის თაობაზე ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- ✓ უზრუნველყო 2014 წელს თსუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული 1019 სტუდენტის თაობაზე ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (მ.შ. 2013-2014 ს/წლის გაზაფხულის სემესტრში 633, ხოლო 2014-2015 ს/წლის შემოდგომის სემესტრში - 386 სტუდენტი).
- ✓ ატვირთა 3000-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასკანერებული ვერსია თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემთა ბაზის შევსებისა და კორექტირების მიზნით განახორციელა 200-მდე სტუდენტის დოკუმენტაციის მოძიება და გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე გაიგზავნა შესაბამისი ელექტრონული წერილები.
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახა თსუ-ში ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული 213 სტუდენტი და მოახდინა მათი დოკუმენტაციის გაგზავნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
- ✓ პროფესიული კოლეჯების მართვის სისტემაში შეიტანა ინფორმაცია 122 პროფესიული სტუდენტის შესახებ.
- ✓ დაამუშავა სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები და მიაწოდა როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებს, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ არასამთავრობო დაწესებულებებს.
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს გაეგზავნა კურსდამთავრებულთა დიპლომის ნამდვილობის შესახებ და სტუდენტების სწავლის ფაქტის დადასტურების შესახებ 241 ცნობა.

უნივერსიტეტი ადმინისტრაცია, აკადემიური პროგრამების განხორციელების სრულყოფის და სტუდენტთა საატესტაციო პროცედურების ორგანიზება-ჩატარების მიზნით, (სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის *საგამოცდო ცენტრის* ფუნქციონირებას. 2014 წლის განმავლობაში ორგანიზებულ იქნა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შუალედური/დასკვნითი/დამატებითი და დოქტორანტურა/მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარება.

(შენიშვნა: ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური ანგარიში).

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ 2014 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა განახორციელა უწყვეტი განათლების პროგრამებისა და აკადემიური განვითარების სფეროში, რა მიზნითაც ნაყოფიერად იმოქმედა უნივერსიტეტის *აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა*. 2014 წლის მარტიდან ოფიციალურად დაიწყო პროექტ „**Strengthening the Specific Role of Universities as LLL Institutions, SSRULLI**” (უნივერსიტეტების, როგორც სწავლა უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება) განხორციელება. 2013 წელს პროექტისათვის „**Strengthening**

the Specific Role of Universities as LLL Institutions, SSRULLI” (უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება) აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა მოიპოვა **TEMPUS**-ის გრანტი (544251-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPHES). პროექტის ბიუჯეტი 598 537.67 ევრო. პროექტის მიზანია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება. პროექტი მიმდინარეობდა 2014 წლის განმავლობაში და დასრულდება 2015 წლის დეკემბერში. SSRULLI პირველი პროექტია საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების განვითარების მიმართულებით, რომელშიც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაა ჩართული. **პროექტის წარმდგენი და კოორდინატორი** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

SSRULLI-ს ევროპელი პარტნიორები არიან: 1. გრაცის კარლ ფრანცის სახელობის უნივერსიტეტი (ავსტრია); 2. ჰამბურგის უნივერსიტეტი (გერმანია); 3. ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი). პროექტის პარტნიორები რეგიონიდან არიან: 1. აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; 2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; 3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; 4. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 5. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია; 6. Dv international - საქართველო; 7. ხაზარის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი); 8. კავკასიის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი); 9. აზერბაიჯანის ზრდასრულთა განათლების ასოციაცია; 10. ჰოვანეს თუმანიანის სახელობის ვანაძორის პედაგოგიური ინსტიტუტი (სომხეთი); 11. ბრიუსელის სახელობის ერენის სახელმწიფო ენების უნივერსიტეტი (სომხეთი); 12. Dv international - სომხეთი.

პროექტის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში განხორციელდა პოტენციალის კვლევა და უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიების შემუშავება. გარდა უწყვეტი განათლების სისტემების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა, პროექტის ფარგლებში რამდენიმე ეტაპად ხორციელდება უწყვეტი განათლების ცენტრების თანამშრომლების გადამზადება (სულ 8 სასწავლო მოდული).

პროექტის ფარგლებში მოხდება უწყვეტი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება პარტნიორ უნივერსიტეტებში, შეიქმნება და დაინერგება უწყვეტი განათლების კურსები (სფერო, ხანგრძლივობა და სხვა დეტალები შეიძლება განსხვავებული იყოს ყოველ პარტნიორ უნივერსიტეტში მათი სპეციფიკიდან გამომდინარე), შეიქმნება საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების (ULLL) რეგიონული ქსელი, რომელიც უნდა იქცეს რეგულარული დიალოგისა და ინფორმაციის გაცვლის პლატფორმად რეგიონში უწყვეტი განათლების შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ. პროექტის დასრულებისას გამოიცემა სახელმძღვანელო რეგიონში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ორგანიზების შესახებ.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებია: პირველი სამუშაო შეხვედრა; შეხვედრა ჰამბურგის უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების განვითარების საკითხებზე; შეხვედრა გრაცის უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სტრატეგიების განვითარების შესახებ; ტრენინგი უწყვეტი განათლების ცენტრების თანამშრომლებისათვის „უწყვეტი განათლების ფინანსური მენეჯმენტი“; ტრენინგი უწყვეტი განათლების ცენტრების თანამშრომლებისათვის „საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სტრატეგიების განვითარება“; სემინარი სტრატეგიების შემუშავებაზე - ევროპელი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტების რეკომენდაციები; ტრენინგი უწყვეტი განათლების ცენტრების

თანამშრომლებისათვის - „საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ორგანიზაციული განვითარება“; მეხვედრა ტალინში - ელექტრონული რესურსების გამოყენება უწყვეტ განათლებაში.

2014 წელს განხორციელებული უწყვეტი განათლების კურსებია: ტრენინგი ახალი ბერძნული ენის მასწავლებლებისათვის; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი (2 ჯგუფი); ტრენინგების ტრენინგი (დამწყებთათვის) (4 ჯგუფი); უკრაინული ენა; კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის; ტრენინგების ტრენინგი (სრული კურსი); PR საზოგადოებასთან ურთიერთობა.

2014 წელს აბიტურიენტთათვის მომზადებული და განხორციელებული კურსები: 2014/2015 სასწავლო წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის დადგენილ სხვადასხვა საგანში ემზადება 25 აბიტურიენტი: 1. ქართული ენა და ლიტერატურა - 3 ჯგუფი; 2. ზოგადი უნარები - 3 ჯგუფი; 3. ისტორია - 2 ჯგუფი; 4. ინგლისური ენა - 2 ჯგუფი; 5. რუსული ენა - 1 ჯგუფი; 6. მათემატიკა - 1 ჯგუფი; 7. გეოგრაფია - 1 ჯგუფი. ასევე მიმდინარეობს მეცადინეობები შემდეგი კურსების ფარგლებში: 1. ქართული ენა რუსულენოვანი მსმენელებისათვის - 12 მსმენელი; 2. ქართული ენა თურქულენოვანი მსმენელებისათვის - 8 მსმენელი.

2014 წელს დამტკიცებული კურსები: 1. ტრენინგი ახალი ბერძნული ენის პედაგოგებისათვის; 2. უკრაინული ენა; 3. ბიზნეს რუსული ენა; 4. კონსტიტუციონალიზმი და ადამიანის უფლებები; 5. საარჩევნო სისტემები და ტექნოლოგიები; 6. მუნიციპალიტეტის მართვის ფორმები და მეთოდები; 7. მოსახლეობა და მსოფლიო განვითარება; 8. საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა; 9. საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია; 10. საერთაშორისო კონკურენცია და ტურიზმის განვითარება; 11. ტრენინგების ტრენინგი (დამწყებთათვის); 12. კონფლიქტების სოციოლოგიურ - ფსიქოლოგიური ბუნების ანალიზი და მართვის მექანიზმები; 13. ფრანგული ენის შესწავლა მულტიმედიური რესურსებით.

2014 წელი უნივერსიტეტისთვის *საგამომცემლო საქმიანობის* თვალსაზრისით ნაყოფიერი იყო, ვინაიდან მიღებული იქნა, რედაქტირება გაუკეთდა, დიზაინი შემუშავდა და დაიბეჭდა 108 დასახელების სახელმძღვანელო, მონოგრაფია, კრებული, ლექსიკონი, ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა. უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა წიგნის საერთაშორისო ფესტივალში. მთელი წლის მანძილზე მზადებოდა და იბეჭდებოდა სავიზიტო ბარათები, პოსტერები, მოსაწვევი ბარათები, ბუკლეტები, სერტიფიკატები და აფიშები უნივერსიტეტის მიმდინარე საჭიროებისათვის. წარმატებით განხორციელდა მოლაპარაკებები უცხოურ გამომცემლობებთან მთარგმნელობითი პროექტით გათვალისწინებული 18 წიგნის ბეჭდვის უფლების მოსაპოვებლად. *(შენიშვნა: ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).*

სისტემატიურად ხდება უნივერსიტეტის **ბიბლიოთეკის** წიგნადი ფონდის შევსება-განახლება სამეცნიერო, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით, ასევე პერიოდული და საუნივერსიტეტო გამოცემებით. ფონდების შევსებისას დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებას. უნივერსიტეტის მიზანია ამ მხრივ მოემსახუროს ყველა კატეგორიის მკითხველს: აბიტურიენტებს, სტუდენტებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და ა.შ.

2014 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა, აღირიცხა და დამუშავდა 5051 დასახელების 11 542 საბიბლიოთეკო ერთეული. აქედან 1 903 დასახელების წიგნი შეძენილია ტენდერით.

ყოველ წლიურად უნივერსიტეტი ბიუჯეტში ითვალისწინებს წიგნების შესაძენ თანხას. 2014 წლის ბიუჯეტით წიგნების შესაძენად გათვალისწინებული იყო სულ 171 000,0 ლარი, საიდანაც დაიხარჯა 134 244,9 ლარი. (შეძენილ იქნა 1 903 დასახელების 4252 ერთეული). შემომწირველებთან 390 ინდივიდუალური ხელშეკრულება გაფორმდა.

უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს გამომცემლობებთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე უნივერსიტეტი რეგულარულად იღებს მათ მიერ დასტამბული წიგნების თითო ეგზემპლარს. 2014 წელს მემორანდუმი გაფორმდა კიდევ ორ გამომცემლობასთან. სულ გამომცემლობებისგან მიღებულ იქნა 394 ერთეული.

დღემდე გრძელდება 1918 წლიდან დაწყებული ტრადიცია, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ცნობილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი კოლექციებით. 2014 წელს ბიბლიოთეკას კიდევ რამდენიმე კოლექცია შეემატა: ნატალია ორლოვსკაიას, ნათელა ქუთელიასა და ანდრია რაზმაძის პირადი ბიბლიოთეკები. ინტენსიურად იზრდება აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას კოლექცია.

უნივერსალური და მუდმივად განახლებადია ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილების ფონდი, საიდანაც სტუდენტებს შეუძლიათ სახელმძღვანელოების გატანა გარკვეული ვადით. ამ შემთხვევაში მთავარი ამოცანაა მკითხველთა სწრაფი მომსახურება, მათი ინტერესების გათვალისწინებით. 2014 წელს ბიბლიოთეკაში ჩაეწერა 725 მკითხველი, აბონემენტიდან გაიცა 4494 წიგნი, დაბრუნდა – 4317. გაიცა 1547 წერილობითი და 3031 ელექტრონული ცნობა საბიბლიოთეკო დოკუმენტის დავალიანების შესახებ. უნივერსიტეტს დაუბრუნდა 60 საბიბლიოთეკო ერთეული ძველი დავალიანებიდან. გაერთიანდა ოპერატიული და აბონემენტის ფონდები. აბონემენტის ფონდიდან ჩამოსაწერად მომზადდა 10 დასახელების 1785 საბიბლიოთეკო დოკუმენტი.

2011 წელს დაწყებული წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის პროცესი დღესაც გრძელდება (საბიბლიოთეკო ერთეულები ითვლება შტრიხკოდების მეშვეობით). 2014 წელს მიმდინარე ინვენტარიზაციის ფარგლებში შტრიხკოდი მიენიჭა 179 522 საბიბლიოთეკო დოკუმენტს. სულ შტრიხკოდი მინიჭებული აქვს 1 591 398 საბიბლიოთეკო ერთეულს.

2014 წელს შემუშავდა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის, შეფასების, გადაფასების, საბიბლიოთეკო ფონდიდან საბიბლიოთეკო დოკუმენტის გარიცხვისა და ჩამოწერის წესი“ (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N97/02-01 04.07.2014). 2014 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ინიციატივით შემუშავდა 77 ნორმატიული დოკუმენტის (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების) პროექტი.

უკვე მე-4 წელია წარმატებით მინდინარეობს ბიბლიოთეკაში დაცული ფონდების ელექტრონულ კატალოგში შეტანა, რაც ბიბლიოთეკის მომხმარებელს საშუალებას აძლევს ადვილად მოიძიოს მისთვის საჭირო მასალა ელექტრონულად და იხილოს, თუ რა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტებია დაცული ჩვენს ფონდებში. 2014 წელს ელექტრონულ კატალოგში შევიდა 78 000 – მდე საბიბლიოთეკო დოკუმენტი და 42 000 ელექტრონული ბარათი. სულ ელექტრონულ კატალოგში შეტანილია 134 048 ჩანაწერი.

სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მიზნით ასევე ხორციელდება სახელმძღვანელოების მეხსიერების ციფრულ მატარებლებზე გადატანა და ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ატვირთვა. დიგიტალიზაციის ჯგუფის მიერ დასკანერდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 168 817 გვერდი. ასევე, ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსდა 234 სალექციო კურსის ელექტრონული ვარიანტი. 2014 წლის აგვისტოში შეძენილ იქნა რობოტო-სკანერი, რომლის დახმარებით, ამავე წელს დამუშავდა 341 წიგნი და მათი ელექტრონული ვერსია განთავსდა ვებ-გვერდზე.

წლების შემდეგ აღდგენილ რესტავრაციის განყოფილებაში, რეგულარულად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების რესტავრაცია. 2014 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა - 94 საბიბლიოთეკო ერთეულს. გაიწმინდა - 104 რარიტეტული გამოცემა. ფაკულტეტებიდან გადმოცემული 221 დასახელების წიგნის ქსეროასლი აიკინძა და ყდაში ჩაისვა - 850 ერთეულად. ამოიბეჭდა და საბიბლიოთეკო დოკუმენტად დამზადდა - 250 წიგნის ქსეროასლი. აგრეთვე აიკინძა და ყდაში ჩაისვა - 7 დასახელების გაზეთის შეკვრა.

მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებების განვითარებისთვის, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის თანამედროვე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (BioOne, Oxford Online dictionary, Ecinlit, EbscoHost, New England Journal of Medicine, OECD-iLibrary, Cambridge Journals Collection, Jstory) წვდომას, როგორც უნივერსიტეტის შიდა ქსელიდან, ასევე გარე სივრციდან.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან არსებული „კლუბი 93-ე აუდიტორიის“, „შემეცნებითი კლუბის“, ფარგლებში პერიოდულად ტარდება კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებები: საჯარო ლექციები, წიგნების პრეზენტაცია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად ამზადებს გამოსაცემად ფონდებში დაცული კოლექციების აღწერილობებს, ლიტერატურული აღმანახების საძიებლებს. 2013 წელს მომზადდა და 2014 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოიცა განსაკუთრებული ისტორიული ღირებულების მქონე საუნივერსიტეტო ლიტერატურული აღმანახის „პირველი სხვის“ საძიებელი. ანალიტიკურად დამუშავდა და ელექტრონულ კატალოგში შევიდა „თბილისის უნივერსიტეტი“ გაზეთის (1927-1941წწ; 2001,2014 წწ.) 2 376 სტატია. გამოსაცემად მომზადდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების“ ბიბლიოგრაფიული საძიებელი (1991-1995 წწ.). გამოიცა აკადემიკოს ანდრია აფაქიძისა და პროფესორ შოთა მესხიას პირადი კოლექციის აღწერილობები.

ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ქართული და უცხოური იშვიათი გამოცემების უკეთესად წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, 2014 წელს ბიბლიოთეკას დაემატა ორი სტრუქტურული ერთეული: პერიოდიკისა და იშვიათ გამოცემათა განყოფილებები.

უნარშეზღუდულ ადამიანთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, ბიბლიოთეკის ინიციატივით გაიხსნა აუდიო-სტუდია, სადაც მუდმივად მზადდება მოთხოვნადი სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები ჩვენზე სტუდენტების დახმარებით. აუდიო სახელმძღვანელოები აიტვირთება ბიბლიოთეკის საიტზე და ხელმისაწვდომი იქნება შეზღუდული უნარების მქონე პირთათვის.

2014 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ჩვეულ რიტმში გააგრძელა საქმიანობა *სამუზეუმო* საქმიანობის მხრივ. 2014 წელს მუზეუმში შემოსული ყველა მასალა სათანადო აღრიცხვასა და მათ კუთვნილ ადგილზე განთავსებას ექვემდებარება. ეს მასალებია: ხელნაწერი, ნაბეჭდი ლიტერატურა, არქეოლოგიური მონაპოვარი, მინერალოგიური და პალეონტოლოგიური მასალები, მემორიალური ნივთები, უნივერსიტეტისათვის საჩუქრად გადმოცემული საგნები და სხვ. ისინი დარგების მიხედვით, შესაბამის მუზეუმებშია გადანაწილებული და მათი დაცვა, შენახვა, აღრიცხვა ადგილზე მიმდინარეობს.

- ✓ თსუ ისტორიის მუზეუმში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის პირადი ფონდიდან აღირიცხა ხელნაწერი, ქვისა და სხვა მსგავსი საგნები, ფოტომასალა, სახვითი ხელოვნება, ნაბეჭდი პროდუქცია.
- ✓ გეოგრაფიის მუზეუმში გაგრძელდა აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის პირადი ფონდის, ფოტომასალების და შუშაზე დატანილი ნეგატივ-პოზიტივის აღრიცხვა.
- ✓ ზოოლოგიის მუზეუმში ჩატარდა ექსპონატების დეზინსექცია. აღირიცხა 57 ერთეული;
- ✓ არქეოლოგიის მუზეუმში აღირიცხა მინის, ძვლის, ქვის, თიხის, ბრინჯაოს ექსპონატები. აღსარიცხად მომზადდა: აბულმუგიში, გრაკლიან გორასა და სოფ. აწყურში სხვადასხვა წლებში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები; არქეოლოგიის მუზეუმის თანამშრომლები მონაწილეობდნენ აგრეთვე საველე ექსპედიციებში (გრაკლიან გორა და დარიალის ხეობა - „თამარის ციხე“);
- ✓ მინერალოგიის მუზეუმში ექსპონატთა აღრიცხვა შეჩერებულია, თუმცა, მინერალოგიური კოლექციის იდენტიფიკაცია და მათი შესაბამისად განლაგება კვლავ მიმდინარეობს.

მუზეუმის მუშაობა თემატური გამოფენების მოწყობას, ლექცია-საუბრების ჩატარებას, საცნობარო და სხვა სახის ლიტერატურის მომზადებასა და გამოცემას ითვალისწინებს. ამ მხრივ, თსუ მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო შემდეგი გამოფენები: თსუ დაარსების 96 წლისთავიდან მიძღვნილი ფოტოგამოფენა; ფოტოგამოფენა - „თსუ 1921 წლის თებერვალ-მარტში“; ფოტოგამოფენა - „საქართველოს დაცული ტერიტორიები“; მხატვარ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია - „ფემინ არტის“ წევრების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა; ფოტოგამოფენა - „ჯამბაკურ-ორბელიანები თბილისში“ (კასპის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებასა და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად); ფოტოგამოფენა - „ქალთა სამოქალაქო აქტივობა 90-იანი წლების მიჯნაზე“; ფოტოგამოფენა, „ახალთ საიმედოდ“ (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ქენევაში, 1914-1918 წწ); ფოტოდოკუმენტური გამოფენა - „წმინდანის დაბრუნება მშობლიურ უნივერსიტეტში“, (გრიგოლ ფერაძე); პროფესორ გივი გაჩეჩილაძის დაბადების 100 წლისთავიდან მიძღვნილი მემორიალური გამოფენა; მხატვარ მალხაზ კუხაშვილის გრაფიკული გამოფენა; ავთანდილ და ტარიელ ვართაგავების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა; პროფესორ გურამ კარტოზიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა; „ქალური საწყისი“ - (ნატალია კუციას პერსონალური გამოფენა); ფოტოგამოფენა - „თსუ დამფუძნებლები უკრაინის უნივერსიტეტებში“;

- ✓ თსუ მუზეუმი მთელი წლის მანძილზე აქტიურად თანამშრომლობდა თსუ საბავშვო უნივერსიტეტთან. მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელი სისტემატურ საუბრებს ატარებდა, როგორც რაიონებიდან ჩამოყვანილ, ისე ადგილებზე მყოფ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.

- ✓ ქართული ემიგრაციის მუზეუმში მოეწყო გამოფენა: „ქართველები მეორე მსოფლიო ომში“;
- ✓ საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, ემიგრაციის მუზეუმმა მოამზადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ამსახველი სტენდი;
- ✓ პალეონტოლოგიურ მუზეუმს შესაბამისი ფართობი გამოეყო და იგი 2013 წელს სათანადოდ გარემონტდა. 2014 წელს იქ განათებისა და გათბობის სისტემები დამონტაჟდა. შესაბამისი კოლექციები, რომელებიც გეოლოგიის ინსტიტუტმა მუზეუმს გადმოსცა დახარისხდა და შესაბამის ვიტრინებსა და კარადებში განთავსდა. ამდენად, პალეონტოლოგიური მონოგრაფიული მუზეუმი 2014 წელს საზეიმოდ გაიხსნა. მუზეუმი მზადაა როგორც დამთვალიერებელთა, ისე სამეცნიერო-სასწავლო მიზნით პროფესორთა და სტუდენტთა მისაღებად. მუზეუმში ერთი საკითხია აუცილებლად გადასაჭრელი, პალეონტოლოგიაში გათვითცნობიერებული თანამშრომელი სამსახურშია მისაღები.

მუზეუმის დროებითი გამოფენების დარბაზში ერთი ნამუშევრის გარშემო ავტორისეული საუბრები გაიმართა: ლევან ჭოდოშვილი, ცირა კალანდაძე; ზოოლოგიის მუზეუმში ზოოლოგიური პრაქტიკუმის ლექციები ჩატარდა; ემიგრაციის მუზეუმში მოეწყო პარიზელი მკვლევრის, ა. კორლიაკოვის სლაიდ-შოუ ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაზე, ასევე გაიმართა შეხვედრა „ქართველ ემიგრანტთა მსოფლიო ლიგის“ წარმომადგენლებთან; თსუ საბავშვო უნივერსიტეტთან ერთად სისტემატური გასვლითი შეხვედრები და ლექცია საუბრები ჩატარდა რუსთავის, ახალციხის, გარდაბნის, გორის, ზესტაფონის, ხაშურის მოსწავლეებთან; მოეწყო შეხვედრები და კონსულტაციები ივანე ჯავახიშვილის (კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოვლე) და ალექსანდრე ჯავახიშვილის (გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ძევერა) სახლ-მუზეუმის თანამშრომლებთან.

ემიგრაციის მუზეუმი მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ და საქართველოსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში;

თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონის 30-ზე მეტმა სკოლის მოსწავლემ დაათვალიერა უნივერსიტეტის პანთეონი, მთავარი კორპუსი და დროებითი გამოფენები; ზოოლოგიის მუზეუმშიც აგრეთვე თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონის 20-ზე მეტმა სკოლის მოსწავლემ, პროექტ „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ ზამთრის და ზაფხულისა და ოკლენდის (ახალი ზელანდია) სტუდენტებმა მონაწილეობა;

მომზადდა და დაიბეჭდა გზამკვლევი - „თსუ დამფუძნებლები უკრაინის უნივერსიტეტებში“, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეცა საქართველოს პირველი კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი, რომელიც უზენაესი სასამართლოს შენობის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში გამოქვეყნდა.

II. რესურსების მართვა

2014 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ტრადიციულად ინტენსიურად საქმიანობდა **ფინანსების მართვის, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების** მიმართულებებით.

თსუ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები შემუშავდა საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან

კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ბუჯეტის პროექტი შესათანხმებლად, დროულად წარედგინა თსუ წარმომადგენლობით საბჭოს, რაც 2013 წლის 27 დეკემბერს დამტკიცდა რეგენტთა საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №8 27.12.2014 წელი).

თსუ 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 70 130 495 ლარი და 2013 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით (ნაშთი - 19 179 639 ლარი) განისაზღვრა სულ 89 310 134 ლარით. მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტი - საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა - 4 327 942 ლარი; „სახელმწიფო სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ - 1 171 950 ლარი; ეკონომიკური შემოსავლები - 52 388 760 (სასწავლო გრანტი, სოციალური გრანტი, უფასო სწავლება - 23 369 680 ლარი, სწავლის გადასახადი - 25 417 263 ლარი, მიზნობრივი-მაგისტრანტების დაფინანსება - 96 360 ლარი, მიზნობრივი-ინფრასტრუქტურა - 1 957 557 (ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და ელექტრონული ანდრონიკაშილის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), მიზნობრივი-უცხოენოვანი (სომხეთის მოქალაქე სტუდენტები) სტუდენტების სტიპენდია - 27 000 ლარი, და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 1 520 900 ლარი); ეროვნული სამეცნიერო გრანტები - 7 853 334 ლარი; საერთაშორისო გრანტები - 4 054 829 ლარი; ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები - 333 680 ლარი.

2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა სულ შეადგინა - 68 185 170 ლარი. მათ შორის: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით - 27 668 330 ლარი; „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ - 20 394 082 ლარი; „მივლინებები“ - 1 233 371 ლარი; „ოფისის ხარჯები“ - 5 057 547 ლარი; „წარმომადგენლობითი ხარჯი“ - 605 510 ლარი; „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი“ - 40 909 ლარი; „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი“ - 296 765 ლარი; „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი“ - 1 151 766 ლარი; „სუბსიდიები“ - 2 129 056 ლარი; „გრანტები“ - 291 491 ლარი; „სხვა ხარჯები“ - 6 655 895 ლარი; „არაფინანსური აქტივები“ - 2 588 496 ლარი, „ვალდებულებები“ - 71 952 ლარი.

2014 წლის გადასახდელებში, რომელიც გაწერილია კონკრეტული მუხლების მიხედვით, ეროვნული საერთაშორისო ფონდის გრანტების გადასახდელებმა შეადგინა - 7 378 952 ლარი, საერთაშორისო გრანტების - 3 648 968 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გადასახდელებმა - 4 327 942 ლარი, სახელმწიფო სტიპენდიამ - 1 171 950 ლარი.

როგორც გასულ წლებში, 2014 წელსაც შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებები, კერძოდ: საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, იმიტირებულ პროცესებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობები.

მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიით. სულ 766 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია. ასევე საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან 650 000 ლარით დაფინანსდა მაღალი აკადემიური შედეგების მქონე ბაკალავრიატის სტუდენტების და მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი. შეფერხების გარეშე ფინანსდებოდა: ლექციების წასაკითხად უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის, სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების, მასალების, რეჟატივების, გამომცემლობის სასტამბო, სამეცნიერო ექსპედიციების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული, წიგნადი ფონდის შესაძენად საჭირო,

რიდერების რედაქტირებისა და თარგმნის ხარჯები, მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები და სხვა. სწავლის გადასახადის შეღავათი გაეწია და უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული იქნა ასევე დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილიც.

2014 წლის ბოლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმდა ხელშეკრულება და ჩამოირიცხა 1 957 557 ლარი, ელემენტარ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის, ასევე საექსპერტო მომსახურების განხორციელებისათვის. თანხების ხარჯვა განხორციელდება 2015 წელს.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დროულად იქნა წარდგენილი ინფორმაცია საკუთარი შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის შესახებ, 2013 წლის ფაქტობრივი, 2014 წლის გეგმისა და 2015 წლის პროექტის მაჩვენებლების მიხედვით. ასევე დროულად იქნა წარდგენილი უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის 2014-2017 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტი.

ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას როგორც გასულ წლებში, ასევე 2014 წელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მუშავდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვები. პროექტების შესაბამისად, დამტკიცებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტის გათვალისწინებით ფორმდებოდა ხელშეკრულებები გრანტის ძირითად და დამხმარე პერსონალთან. გარკვეული მუშაობა გაიწია, საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მივლინებების, ექსპედიციების (არა მარტო საგრანტო პროექტების, თსუ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) ბრძანებების პროექტების მომზადებაზე, შესყიდვებისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებაზე, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებაზე, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენაზე. ასევე გარკვეული მუშაობა გაიწია უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტების (14 ინსტიტუტის) და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი (თითოეულისათვის ცალ-ცალკე) ასიგნებების ხარჯვის კოტროლზე, ინსტიტუტებში მიმდინარე გრანტების მომსახურებაზე. 2014 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა და დეპარტამენტი ემსახურებოდა შემოერთებული ინსტიტუტების ჩათვლით 230 საგრანტო პროექტს. მათ შორის: 168 - ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 62 - საერთაშორისო გრანტის. უნივერსიტეტის მიერ გრანტების თანადაფინანსებაზე გახარჯულია 280 654 ლარი.

უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ღონისძიებებისათვის საჭირო ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხს. დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების ჩაბარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. მოხდა კვარტალური, წლიური და სპეციალური გამოკვლევების სტატისტიკური ანგარიშგების მომზადება და დროულად წარდგენა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სხვა უწყებებში.

2014 წელს უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 418 ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა და ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა 1013 ხელშეკრულება. აქედან ტენდერით სახელმწიფო შესყიდვაზე 297 ხელშეკრულება, 691 ხელშეკრულება გამარტივებული, ხოლო 25 კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდვაზე. არ შედგა 88 ტენდერი, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელზე და ძირითადად განპირობებული იყო მცირეფასიანი საგრანტო შესყიდვებით. ფაქტობრივად წლის განმავლობაში, დაფინანსების ყველა წყაროდან განხორციელდა - 7 164 761 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. აქედან - 5 084 549 ლარის ელექტრონული ტენდერების საშუალებით, ხოლო - 2 080 212 ლარის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. 92 354 ლარის პროდუქციისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვა განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობით, რაც მთლიანი შესყიდვების 1.3%-ს არ აღემატება. ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით არსებითად შემცირდა. შესყიდვის ამ საშუალების გამოყენება ძირითადად განპირობებული იყო თსუ საკომუნიკაციო სისტემებში ავარიული დაზიანებების ლიკვიდაციისა და საგრანტო პროექტებისათვის აუცილებელი შესყიდვებით. შესყიდვების დაფინანსების წყაროს მიხედვით: 5 677 865 ლარის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა თსუ-ს ეკონომიკური შემოსავლებიდან, 216 449 ლარის - სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული სახსრებიდან, ხოლო 1 270 446 ლარის - გრანტების დაფინანსებით. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებულია პირობითი ეკონომია (სხვაობა სავარაუდო ფასსა და ფაქტობრივ ფასს შორის) - 678 870 ლარის ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა დიდი მოცულობის სამუშაო იქნა გაწეული თსუ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და თსუ წარმომადგენლობით საბჭოზე წარსადგენად. 2015 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებულ იქნა 2014 წლის 29 დეკემბერს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. (ოქმი №10, 29.12.2014 წელი).

მატერიალური რესურსების მართვის მხრივ, 2014 წლის განმავლობაში: თსუ-ს კორპუსებში უზრუნველყოფილი იქნა არსებული საკომუნიკაციო სისტემების გამართული მუშაობა, ასევე კომუნალური გადასახადებისათვის დოკუმენტაციის მომზადება და გადახდაზე კონტროლის უზრუნველყოფა. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება სახარჯი და სანიტარული საშუალებებისა და ავეჯის შესყიდვის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობის და კონტროლის განხორციელება, დაწესებულების სამეურნეო და სატრანსპორტო მომსახურება, საინვენტარიზაციო და ჩამოწერის კომისიასთან აქტიური თანამშრომლობა.

ხორციელდებოდა ყოველდღიური შემოვლა თსუ-ს კორპუსებში და აღმოჩენილი დაზიანებების აღმოფხვრა, კერძოდ: სველი წერტილების შეცვლა/შეკეთება; ელ.ქსელის წერტილების შეცვლა/შეკეთება; ავეჯისა და იატაკის შეკეთება, მოწესრიგება და განახლება, ბანერების დამზადება/მონტაჟი; კედლების შეკეთებითი სამუშაოები, დაზიანებული სატელეფონო ხაზების და ტელეფონების შეკეთება, გათბობის სისტემების (მილების, რადიატორების, ქვაბების)

მეთვალყურეობა, დაზიანებების შეკეთება. ანალოგიური სამუშაოები ტარდებოდა შემოერთებულ ინსტიტუტებში.

მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვების მემვეობით, სისტემატურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სასწავლო კორპუსების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, თსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში გარემონტდა ოთახები, აუდიტორიები, ლიფტები და სტუდენტთა მომსახურების ცენტრები. ასევე I კორპუსის ეზოსა და ვესტიბიულში დაიდგა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და უნივერსიტეტის დამაარსებელთა ბიუსტები.

ჩატარდა დიდი მოცულობის ისეთი სახის სამეურნეო სამუშაოები, როგორცაა ფართის დაცლა/დასუფთავება, ავეჯისა და სხვა ინვენტარის გადაზიდვა, ინვენტარის გამოტანა-დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების გამოზიდვა სარემონტო სამუშაოების შემდეგ, მეათე-მეთერთმეტე კორპუსების მოსამზადებელი სამუშაოები ეროვნული გამოცდებისათვის. ლიტერატურის ინსტიტუტიდან და მეხუთე კორპუსიდან ამორტიზებული ავეჯის გადაზიდვა/დასაწყობება თელეთის კორპუსში. ყოფილი გეოლოგიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ნაგებობიდან გეოლოგების კუთვნილი ინვენტარის გადატანა ქიმის ინსტიტუტში. მეორე კორპუსში არსებული ბირთვული ფიზიკის სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიების საწყობების დაცლა/დასუფთავება. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შენობისა და ეზოს დაცლა/დასუფთავება. მორფოლოგიის ინსტიტუტში ინვენტარის შეტანა, აუდიტორიების გადაწყობა. პირველ კორპუსში აუდიტორიებისა და საკონფერენციო დარბაზების მომზადება დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ბიოლოგების კორპუსში მუზეუმის ავეჯის გადაწყობა და ჩამოსაწერი ტექნიკის გადაზიდვა სარდაფში. სამშენებლო ნარჩენების გამოტანა ბიოლოგებისა და ბიბლიოთეკის შენობიდან. ბიბლიოთეკის კორპუსში სამკითხველო დარბაზში ავეჯის გადაზიდვა. საგამოცდო ცენტრში ავეჯის გადაწყობა, ძველი ავეჯის ახლით შეცვლა. მაღლივის ბიბლიოთეკიდან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების გადაზიდვა თსუ-ს ავლაბრის ბიბლიოთეკაში. მაღლივის ბიბლიოთეკაში მეხუთე სართულზე არსებული საცავის ჩატანა პირველ სართულზე. ტურიზმის განვითარების ინსტიტუტში შიდა სამუშაოები, აუდიტორიების გადაწყობა დაცლა.

დასუფთავდა და მოწესრიგდა თსუ-ს უმრავლესი კორპუსების ეზოს ტერიტორიები. მოწესრიგდა ხე-მცენარეები და ასევე გამწვანების მიზნით დარგულ იქნა ახალი ნერგები.

უნივერსიტეტის ავტოპარკის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი სატრანსპორტო მომსახურება: არქეოლოგიური სამუშაოებისას არქეოლოგებისა და პროფესორების ტრანსპორტირება საქართველოს მამულებით, ასევე მოწვეული უცხოელი არქეოლოგების და პროფესორების აეროპორტში დახვედრა-გაცილება. გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტების დახვედრა აეროპორტში, მათი ექსკურსიები ქალაქსა თუ ქალაქგარეთ. თსუ-ს სპორტსმენების გადაადგილება სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად საქართველოს მამულებით. თსუ-ს ქალთა ანსამბლ გორდელას წევრების გადაადგილება საქართველოს მამულებით კულტურული ღონისძიებებისას. ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტის მომსახურება, გადაადგილება და ტვირთის გადატანა, ასევე თსუ-ს უკლებლივ ყველა ფაკულტეტის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტრანსპორტთან დაკავშირებით. თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონების სკოლებში საბავშვო ლექციების ჩასატარებლად ლექტორების გადაადგილება. თსუ-ს ყველა

კორპუსის და შემოერთებული ინსტიტუტების ყველა მოთხოვნის სატრანსპორტო უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის რედაქციის თანამშრომლების გადაადგილება ინტერვიუს ჩასაწერად და უნივერსიტეტის გაზეთების დარიგება ყველა კორპუსში. თსუ-ს სტამბის თანამშრომლების გადაადგილება.

ბაგების სტუდენტულში 80-მდე სტუდენტს გაუფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება; I და II კორპუსების რიგ ოთახებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, დაემატა და გარემონტდა 5 ახალი ოთახი, შეკეთდა და შეიცვალა საკანალიზაციო და წყლის მილები, გაყვანილ იქნა ელ.სადენები. დასუფთავდა და მოწესრიგდა ეზოს ტერიტორიები და გამწვანების მიზნით დარგულ იქნა ახალი დეკორატიული ნერგები.

2014 წელს თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში ადმინისტრაციამ უზრუნველყო აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის მომზადება და დამტკიცება. თსუ აკადემიური, ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგში, რამდენჯერმე, ფაკულტეტების და დეპარტამენტების ხელმძღვანელების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები და თსუ-ს წესდების შესაბამისად, მომზადდა და გამოიცა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებები (01/04 27.02.2014; 02/04 28.03.2014; 04/04 08.05.2014; 17/04 06.06.2014; 08/04 12.06.2014; 10/04 03.07.2014; 15/04 12.09.2014; 14/04 01.08.2014; 16.04 01.10.2014; 17/04 06.10.2014; 18/04 22.10.2014; 19/04 20.11.2014; 21/04 05.12.2014; 23/04 30.12.2014).

➤ დამტკიცებული საშტატო განრიგისა და სახელშეკრულებო ვადების გათვალისწინებით, 2014 წლის განმავლობაში კონკურსი გამოცხადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიულ, მედიცინის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე. საკონკურსო წესით შერჩეულ აკადემიურ პერსონალთან სააუდიტორიო დატვირთვის გათვალისწინებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები;

➤ “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 და 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად, ორივე სემესტრის მიხედვით გაკონტროლდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისობა პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან. დამუშავებული ინფორმაცია პროფესორის ინდივიდუალურ დატვირთვასთან შედარების მიზნით მიეწოდა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს, ხოლო სასწავლო ცხრილებთან შედარების მიზნით თსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურს.

➤ სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, მოწვეულ სპეციალისტებთან (პედაგოგებთან) გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. 2014 წელს მომზადდა და გაფორმდა 2514 ხელშეკრულება (მათ შორის: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 576, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 325, ეკონომიკისა და

ბიზნესის ფაკულტეტზე 306, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 301, იურიდიულ ფაკულტეტზე 260, მედიცინის ფაკულტეტზე 294, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 73, ენების შემსწავლელ ცენტრში 235, აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში 41, ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში 103 შრომითი ხელშეკრულება).

➤ 2014 წელს თსუ-ს ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მოწვეულ დამხმარე პერსონალთან განხორციელდა ხელშეკრულებების გაფორმება ან განახლება, წლის განმავლობაში მომზადდა და გაფორმდა 1240-ზე მეტი შრომითი ხელშეკრულება.

➤ ისევე როგორც გასულ წლებში, განხორციელდა, საკადრო ბაზაში სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა და კონტროლი.

➤ განხორციელდა თსუ-სა და სადაზღვევო კომპანია „ირაოს“-ს შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული საკითხების კოორდინაცია (ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი და მათი ოჯახის წევრები, სულ 2292 პირი, შევნიშნავთ, რომ 2013 და 2012 წლებთან შედარებით დაზღვეულთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა); ყოველთვიურად კონტროლდებოდა და ზუსტდებოდა დაზღვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, რის საფუძველზეც ხდებოდა თანხის გადარიცხვას. ხორციელდებოდა კონსულტაციის გაწევა თსუ-ს პერსონალთან დაზღვევის დამატებითი პირობების თაობაზე, უზრუნველყოფილი იქნა ინფორმაციის განთავსება თსუ ვებ-გვერდზე, განცხადებების მიღება შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით და გადაცემა სადაზღვევო კომპანიისადმი.

➤ სისტემატიზებულ იქნა თსუ პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებით თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები და პრეტენზიები, რომელიც მიეწოდა შესაბამის სამსახურს მიმდინარე წლის სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ, ტექნიკური დავალების მომზადებისათვის.

➤ მომზადდა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშები და მიეწოდა შესაბამის სტრუქტურებს დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;

➤ მომზადდა და თსუ ვებ გვერდზე ვადების დაცვით განთავსდა ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ.

➤ წლის განმავლობაში ხდებოდა ყველა კატეგორიის პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე) ვაკანსიაზე დანიშვნა, სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგება, შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა;

➤ ხორციელდებოდა საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადება და წარდგენა დანიშნულების მიხედვით;

➤ ხორციელდებოდა თსუ პერსონალისათვის თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის დამადასტურებელი ცნობების გაცემა (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

➤ მიმდინარეობდა თსუ პერსონალის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლებისა და თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შვებულებების გრაფიკის კონტროლი, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მიზნით.

კომპიუტერული რესურსების მართვის მხრივ, 2014 წელს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, კერძოდ: 2014 წლის იანვარში შეიქმნა და სტრუქტურულად ჩამოყალიბდა კომპიუტერული ტექნიკის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება. რომლის ამოცანებია: ა) კომპიუტერული ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების აღრიცხვა და მონიტორინგი; ბ) უნივერსიტეტის სივრცეში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის მიზნით შესაბამისი მაკომპლექტებელი მარაგების შექმნა; გ) შესაძენი აპარატურის ტექნიკური მოთხოვნებისა და სატენდერო მასალების მომზადება, შეძენილი აპარატურის გამართვასა და დანერგვაში მონაწილეობა; დ) შესყიდული აპარატურის ექსპერტიზა და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა; ე) ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებასთან შეთანხმებით თსუ ფაკულტეტებზე, სასწავლო კორპუსებსა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება, აღრიცხვა და მონიტორინგი.

ამ ამოცანების ფარგლებში, თსუ-ს ყველა ფაკულტეტზე დანიშნულ იქნა თანამშრომლები, რომლებიც ფაკულტეტს კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას უწევენ ტექნიკურ მხარდაჭერას (შემდგომში ეს თანამშრომლები გადაყვანილ იქნა ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებაში).

✓ აღრიცხულ იქნა ყველა ფაკულტეტის და ადმინისტრაციული სტრუქტურების სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, მათი ტექნიკური მონაცემების მიხედვით და შეიქმნა კომპიუტერული ინფრასტრუქტურის ერთიანი ბაზა (კომპიუტერები, პრინტერები, უწყვეტი კვების წყაროები, პროექტორები და სხვა) - სულ 3400 ერთეული.

✓ 2014 წლის ივლისში საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე შეიქმნა დისტანციური სწავლების ცენტრი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ელექტრონული სწავლების სასწავლო მეთოდების ორგანიზება, სტანდარტებთან შესაბამისობა, კოორდინაცია, კონტროლი და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სასწავლო პროცესში.

✓ ელექტრონული სწავლების მიმართულებით მოხდა ათეულობით ელექტრონული კურსის დამატება მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში. აგრეთვე კონსულტაციის გაწევა პედაგოგებისათვის ელექტრონული კურსების მომზადებასა და მათ განთავსებაში მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში.

✓ დაიგეგმა ელექტრონული კურსის მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) თსუ-ს სასწავლო ბაზასთან ინტეგრირების საშუალებები მიმდინარე წლისათვის.

✓ მხარდაჭერილი იქნა რამოდენიმე საერთაშორისო საგრანტო პროექტი, რომელიც დაკავშირებულია თსუ-ში ელექტრონული სწავლების განვითარება/დანერგვასთან. ესენია: 1. „Development of Embedded System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Education and Production in UA, GE, AM“ 544091-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPCR. 2. „Establishment of Multidisciplinary Innovative Centres for the Development of Virtual

Laboratories (MICVL) in Biology and Medicine“ 543802-TEMPUS-1-2013-1-UK-TEMPUS-JPHES. 3. „Developing tools for lifelong learning in Transcaucasus region: e-Learning“ 544605-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPHES.

- ✓ მიმდინარეობს სამუშაოები რამოდენიმე საერთაშორისო საგრანტო პროექტის მომზადებაზე.
- ✓ განხორციელდა რამოდენიმე ვიდეოკონფერენცია, როგორც საზღვარგარეთ მყოფ უნივერსიტეტის პარტნიორულ ორგანიზაციებთან, ასევე სასწავლო პროცესის მიხედვით დაგეგმილ დისტანციური ლექციების დისტანციური წასაკითხად.
- ✓ მოხდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგი და მათი გამართული მუშაობა;
- ✓ განხორციელდა კლიენტური აპარატული მოწყობილობების (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ნეტბუქტები და პლანშეტები) მხარდაჭერა და წვრილმანი რემონტი, ქსელური და სატელეფონო საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია, რემონტი და მხარდაჭერა, კლიენტური საოპერაციო სისტემების მხარდაჭერა, საოფისე და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა.
- ✓ მიმდინარეობდა კომპიუტერული ქსელისა და სხვა საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია-მონტაჟი.
- ✓ მოხდა უნივერსიტეტის საბეჭდი, ასლგადამღები და სკანირების მოწყობილობების მხარდაჭერა და მათი სახარჯი მასალების ინსტალაციის უზრუნველყოფა.
- ✓ განხორციელდა უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ტექნიკური კონსულტაცია ტელეფონის საშუალებით და დისტანციურად დახმარების აღმოჩენა.
- ✓ 2014 წელს AD (Active Directory) სისტემაში ჩაერთო თსუ I კორპუსში არსებული თითქმის ყველა (200-ზე მეტი) კომპიუტერი, რომლის წყალობითაც ამ კომპიუტერზე მომუშავე ყველა მომხმარებელი დაემორჩილება ერთ საერთო პოლიტიკას.

ქსელის და სერვერული სისტემების მიმართულებით 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა დაკავშირებული იყო ინფორმაციული სერვისების, სერვერული ინფრასტრუქტურის, კომპიუტერული ქსელისა და ინტერნეტის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან. წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ✓ მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია თსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა დაწესებულებების ოპტიკური ინტერნეტით აღჭურვის შესახებ. ახალი შესყიდვის შედეგად ოპტიკური კავშირის დამატება გათვალისწინებულია 11 ობიექტისთვის, რის შემდეგაც, 2015 წლიდან, თსუ-ს ყველა დაწესებულება (მცირე გამონაკლისების გარდა) ოპტიკური ინტერნეტით მომსახურებას მიიღებს.
- ✓ განახლებულ იქნა თსუ-ს ვაკის მონაცემთა ცენტრის ქსელური ინფრასტრუქტურა. დაყენდა და გაიმართა ახალი ცენტრალური კომუტატორი (Core Switch) და ორი ბრანდმაუერი (Firewall), რის შედეგადაც ამაღლდა თსუ-ს ქსელის და სერვერული ინფრასტრუქტურის დაცულობის ხარისხი;
- ✓ დაიწყო თსუ-ს უკაბელო ქსელური ინფრასტრუქტურის შემწა სისტემა Ruckus-ის საფუძველზე, რითაც გაიზარდა უნივერსიტეტში უკაბელო ქსელური სერვისების მიწოდების ხარისხი. 2014 წლის ბოლოსთვის Ruckus-ის უკაბელო ადაპტერებით მთლიანად დაფარულია თსუ-ს პირველი კორპუსის სივრცე, სადაც სტუდენტებს და თანამშრომლებს ინტერნეტთან

უწყვეტი უკაბელო წვდომა გააჩნიათ. დაგეგმილია უკაბელო სივრცეში ვაკის და მაღლივი კორპუსების ჩართვაც.

✓ დაიწყო თსუ-ს ანალოგური სატელეფონო ქსელის ჩანაცვლების პროცესი VoIP-ტელეფონით სისტემა Elastix-ის ბაზაზე, რითაც თსუ-ს შიდა სატელეფონო სისტემა შეიქმნება ახალი დამატებითი სერვისებით. სადღეისოდ IP-ტელეფონები დადგმულია სასწავლო და IT-დეპარტამენტებში და მათ საფუძველზე ამოქმედებულია თსუ-ს „ცხელი ხაზი“ სტუდენტებისთვის. VoIP-ტელეფონია მომავალში მკვეთრად შეამცირებს სატელეკომუნიკაციო კომპანიებისგან მისაღები საქალაქო ნომრების რაოდენობას.

✓ განახლებულ იქნა თსუ-ს მაღლივი კორპუსის მონაცემთა ცენტრის ქსელური ინფრასტრუქტურა. დაყენდა და გაიმართა ახალი ცენტრალური კომპიუტერი, აგრეთვე გარდამქმნელი მოწყობილობების (კონვერტორები, ტრანსივერები) ჩანაცვლების ხარჯზე გაიზარდა ტრაფიკის გამტარუნარიანობა გრენასა და თსუ-ს ქსელურ მოწყობილობებს შორის, რაც მაღლივ, ბიოლოგიების კორპუსებსა და ბიბლიოთეკაში ინტერნეტის მიწოდების სიჩქარის ამაღლების ერთერთ წინაპირობას წარმოადგენს;

✓ დასრულდა სერვერული ინფრასტრუქტურის ვირტუალიზაციის პროცესი. ამ ეტაპზე თსუ-ს ყველა სერვერი (გარდა იმ მცირერიცხოვანი შემთხვევებისა, როცა სერვისის მუშაობა ფიზიკურ სერვერს საჭიროებს) კლასტერიზებულ ვირტუალურ გარემოში მუშაობს, რაც ზრდის მათი ადმინისტრირების მოქნილობას, მუშაობის საიმედოობას და ამცირებს ავარიული სიტუაციებიდან სერვისების აღდგენისთვის საჭირო დროს;

✓ დამუშავდა ტექნიკური დოკუმენტაცია თსუ-ს ვაკის მონაცემთა ცენტრში მონაცემთა საცავების ტევადობის გასაზრდელად. კერძოდ, შეძენილ იქნება ცენტრალური მონაცემთა საცავის თარო 11 სწრაფქმედი SSD-დისკით;

✓ დაიწყო მუშაობა თსუ-ს ერთიანი IT-ინფრასტრუქტურის შესაქმნელად Active Directory-სისტემის ფარგლებში. გაიმართა თსუ-ს დომენის კონტროლერები. მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილებასთან ერთად წლის ბოლომდე სისტემაში ინტეგრირებულ იქნა თსუ-ს პირველ კორპუსში განთავსებული ცენტრალური ადმინისტრაციის პრაქტიკულად ყველა სტრუქტურული ერთეული;

✓ დომენში ჩართული მომხმარებლებისთვის ჩაირთო ცენტრალიზებული ფაილური სერვისი;

✓ დამუშავდა ტექნიკური დოკუმენტაცია მონაცემთა სარეზერვო ასლების შესანახი მოწყობილობისთვის (NAS-სერვერი), რომლის საშუალებითაც შესრულდება ფაილური რესურსების და მონაცემთა ბაზების სარეზერვო კოპირება ვაკის მონაცემთა ცენტრიდან ფიზიკურად დაშორებულ ადგილზე;

✓ დაყენდა ერთიანი ანტივირუსული სისტემა ESET NOD, რომლის საშუალებითაც მომხმარებელთა კომპიუტერების ანტივირუსული დაცვის სისტემების ცენტრალიზებული განახლება და მართვა გახდა შესაძლებელი. 2015 წელს გრძელდება მომხმარებელთა კომპიუტერების ჩართვის პროცესი ანტივირუსული დაცვის სისტემაში;

✓ შეიქმნა მონიტორინგის ახალი სერვისი სისტემა ZABBIX-ის ბაზაზე, რომელიც სერვერების და ქსელური მოწყობილობების სხვადასხვა პარამეტრებით მონიტორინგის საშუალებას იძლევა;

✓ გაიმართა ვებ-გვერდების მართვის სისტემა CPanel, რომლის მიზანსაც უნივერსიტეტის ვებ-რესურსების ცენტრალიზებული მართვის უზრუნველყოფა წარმოადგეს. შესრულდა რესურსების

ნაწილის მიგრაცია ახალი მართვის სისტემის გარემოში.

- ✓ გაიმართა სერვისი EZET-Proxy, რომელიც თსუ-ს თანამშრომლებს და სტუდენტებს თსუ-ს მიერ შეძენილ სამეცნიერო ონლაინ-რესურსებთან სახლიდან მიმართვის საშუალებას აძლევს;
- ✓ დანერგვის პროცესშია უსაფრთხოების სერტიფიკატი თსუ-ს კრიტიკული ვებ-სერვისებისთვის (სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდი);
- ✓ მობილური ოპერატორის შეცვლასთან დაკავშირებით განახლდა მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისი message.tsu.ge და კომპანია „ჯეოსელის“ სერვერთან დამყარდა ვირტუალური პრივატული შეერთება (VPN);
- ✓ შეიქმნა რამდენიმე ვებ-გვერდი და გამოიყო მათთვის დომენი და დისკური სივრცეები სერვერებზე;
- ✓ გაგრძელდა შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ვებ-გვერდების საერთო დომენურ სივრცეში (tsu.ge) ინტეგრაცია;
- ✓ განხორციელდა რამდენიმე ვიდეოკონფერენციის ტექნიკური მხარდაჭერა როგორც საზღვარგარეთ მყოფ უნივერსიტეტის პარტნიორულ ორგანიზაციებთან, ასევე სასწავლო პროცესის მიხედვით დაგეგმილ დისტანციური ლექციების დისტანციური წასაკითხად;
- ✓ შესრულდა დისტანციური სწავლების ელექტრონული სისტემის (Moodle) და თსუ-ის ონლაინ ბიბლიოთეკის სერვისის (Evergreen) პროგრამული უზრუნველყოფის განახლება და ახალი ფუნქციებით გაფართოება;

პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით 2014 წელს გაწეული სამუშაოების შედეგად მოხერხდა უნივერსიტეტის სამუშაო პროცესის ავტომატიზების გაუმჯობესება, ასევე მოხდა არსებული სისტემების მხარდაჭერა/ოპტიმიზაცია (აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტუდენტთა სწავლების მართვის სისტემებით (სპმს), ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის სისტემებით (Oris Manager, ERP), კონკრეტულად:

1. შეიქმნა შემდეგი ვებ-გვერდები:

- ✓ თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის;
- ✓ კონფერენციის - „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“;
- ✓ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნოეგრეცისტიკის ინსტიტუტისთვის; მუშაობის პროცესშია და უახლოეს პერიოდში დასრულდება 6 ვებ-გვერდი:
- ✓ ჟურნალის ვებ-გვერდის შექმნა;
- ✓ საინფორმაციო „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“;
- ✓ სამეცნიერო ნაშრომების ღია წვდომის არქივი;
- ✓ შექსპირის შემსწავლელი ცენტრი;
- ✓ ჟურნალ „თსუ მეცნიერება“;
- ✓ რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინარული ცენტრი.

2. ფაკულტეტებისთვის „sms.tsu.ge-ზე“ შეიქმნა მოდული, რომლის მეშვეობითაც ფაკულტეტები არეგისტრირებენ სტუდენტებს დამატებით სემესტრში.

3. საგამოცდო ცენტრისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ფორმირება.

4. თსუ-ს და ხაზინის მონაცემთა ბაზებში შესრულდა შემდეგი სამუშაო:

- ✓ უნივერსიტეტის იერარქიული სტრუქტურის სრული თანხვედრის უზრუნველყოფა;
- ✓ თანამშრომელთა თანამდებობების სრული თანხვედრის უზრუნველყოფა;

- ✓ ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე;
- ✓ ახალი თანამდებობის შექმნა შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე;
- ✓ ხელფასების პარალელური დარიცხვა და უწყისების სრული თანხვედრის უზრუნველყოფა;
- ✓ ხაზინის მონაცემთა ბაზიდან თანხების მიმოქცევის ადეკვატური გადმოტანა თსუ-ს ბაზაში.

III. საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები და ურთიერთობა საზოგადოებასთან

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით 2014 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შეუქმნებოდა მედია-საშუალებებით. გარდა ამისა მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. 2014 წელს გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ ერთი წლიური ნომერი (ქართულ და ინგლისურ ენებზე ცალ-ცალკე) ჯამში 4 ათასი ეგზემპლარი, მიმდინარეობს მუშაობა ჟურნალის ვებგვერდზე, რომელიც ასევე ორენოვანი იქნება; გამოიცა საგაზეთო ჩანართის „უნივერსიტეტი“ 12 ნომერი, თითოეული ნომერი 35 ათასი ტირაჟით (ჯამური ტირაჟი 420 ათასი). ჩანართის მიზანია უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის, კვლევითი პროექტების, სასწავლო პროგრამების და სტუდენტური აქტივობის პოპულარიზაცია.

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მუდმივ კავშირშია უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან. წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

აღნიშნული სტრუქტურებიდან მოძიებული/მოწოდებული ინფორმაცია მუშავდება და მედიის სხვადასხვა საშუალებებში მიზანმიმართულად ვრცელდება; ასევე, ხელი ეწყობა უნივერსიტეტის შიგნით არსებული აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების კომუნიკაციას.

2014 წელს გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები, და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. წლის განმავლობაში გაიმართა 300-ზე მეტი ღონისძიება.

უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული და მიზანმიმართული გავრცელება საუნივერსიტეტო სივრცეში (*ვებ-გვერდი, ფეისბუქის გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სარეკლამო დაფები, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში დამონტაჟებული ეკრანები*).

2014 წელს სოციალურ ქსელში – Facebook-ში აქტივობის მაჩვენებელი გაიზარდა. დღეისთვის 65 000-მდე მომხმარებელი იღებს ინფორმაციას თსუ-ს საქმიანობის შესახებ, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube-ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული საინტერესო ვიდეო-მასალები.

2014 წელს უნივერსიტეტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურებთან: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს მთავრობის კანცელარია - პრემიერ-მინისტრის აპარატი; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ეროვნული გამოცდების და შეფასების ცენტრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსხვავებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს უზენაესი და თბილისის საქალაქო სასამართლოები; თბილისის მერია; საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან.

სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა „შემოდგომის ლეგენდა“ 2014 წელს კიდევ უფრო გაზარდა მასშტაბები და საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიც მოიცვა. 25-26 ოქტომბერს კახეთში ყველაზე მასშტაბური სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის იმპროვიზაციული ტური და დაჯილდოების საღამო ჩატარდა. გამარჯვებულ სამეულს გადაეცა ფულადი პრემია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განათლების საერთაშორისო ფორუმზე საგამოფენო სტენდის საუკეთესო დიზაინის ნომინაციაში გაიმარჯვა და დაჯილდოვდა სერტიფიკატით საგამოფენო სტენდის საუკეთესო დიზაინისთვის. უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-4 საერთაშორისო გამოფენა „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა 2014 წლის 14-15 თებერვალს. განათლების გამოფენაზე თსუ წარმოდგენილი იყო განსხვავებული კონცეფციით, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის საუკუნოვან ისტორიას და თანამედროვეობას. უნივერსიტეტის სლოგანი კვლავ აერთიანებს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს და მოუწოდებს მომავალ თაობას „იარე ჩვენთან ერთად“.

- ✓ 2014 წელს გაიმართა სტუდენტური ფოტოკონკურსი „UNIკადრი“. სამ ნომინაციაში წარმოდგენილი იყო 100-მდე ნამუშევარი, რომლიდანაც 25 საუკეთესო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გამოიფინა. ჟიურის მიერ გამოვლენილ 3 გამარჯვებული ნამუშევრის ავტორებზე გაცა ფულადი პრემია.
- ✓ 2014 წელს კომპანია „სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტებთან“ ერთად განხორციელდა პროექტი „მისია 2014“. უნივერსიტეტის მასშტაბით შემოვიდა სტუდენტური ჯგუფების 58 პროექტი. 5 ფინალისტ გუნდს კომპანიის წარმომადგენლებმა და თსუ პროფესორებმა ჩაუტარეს ტრენინგი და კონსულტაციები. გამარჯვებულ 3 ჯგუფს კომპანიამ ფულადი პრემიები გადასცა.
- ✓ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე რუსთაველის გამზირზე სხვადასხვა უნივერსიტეტებთან ერთად გაიმართა თსუ-ს პრეზენტაცია.

- ✓2014 წელს საზეიმოდ აღინიშნა ბაკალავრთა გამოშვების ღონისძიება. უნივერსიტეტის ორგანიზებით 3000-მდე კურსდამთავრებულმა მოირგო მანტია და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში აღინიშნა უნივერსიტეტის დამთავრება. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის გაიმართა „თსუ არტის“ და მარიკო ებრალიძის კონცერტი.
- ✓2014 წლის 14 სექტემბერს თსუ-ში გაიმართა მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება. მაგისტრის წოდების მინიჭება კურსდამთავრებულებს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, თსუ პროფესორ-მასწავლებლებმა მიულოცეს.
- ✓2014 წლის 15 სექტემბერს თსუ-ში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. სტუდენტებს სწავლის დაწყება თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ გიორგი შარვაშიძემ და ფაკულტეტების დეკანებმა მიულოცეს. თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ რექტორის სტიპენდიით დააჯილდოვა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი; ჯილდო გადაეცათ სტუდენტების მიერ შერჩეულ 2013/14 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგებს. საკომუნიკაციო კომპანია „მათიკომისგან“ თსუ-ში ჩარიცხული ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტი ერთი წლის განმავლობაში მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას; ექვსივე ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგულ სტუდენტებს თსუ-მ საჩუქრად გადასცა კომპიუტერული ტექნიკა - ტაბლეთი; ხოლო გამომცემლობამ „პალიტრა L“ ექვსივე ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები წიგნებით და მკითხველთა კლუბის ბარათებით დაასაჩუქრა.
- ✓26-27 სექტემბერს ვაკის პარკში ევროკავშირის კულტურის კვირეულზე თსუ საკუთარი სცენარით წარსდგა: გაიმართა უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების გამოფენა-გაყიდვა, შემეცნებით-გასართობი ვიქტორინა, რომელშიც გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნები და თსუ-ს ლოგოიანი ატრიბუტიკა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასახალწლოდ მოამზადეს უნივერსიტეტის საიმიჯო ატრიბუტიკა; მათ შორის, კალენდარი, რომელიც ასახავს საუნივერსიტეტო ცხოვრებას. კალენდარი, საფოსტო ბარათები, საიმიჯო ატრიბუტიკა უნივერსიტეტის ყველა მეგობარი ორგანიზაციისა და სტრუქტურის წარმომადგენელს, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლებს გადაეცა.

2014 წელს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები გაშუქდა **ტელევიზიებში**: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“, „ერთსულოვნება“, ტელეკომპანია „აჭარა“, „GDS“, „TV 3“, „ტაბულა“, „მაესტრო“, „ობიექტივი“, „პალიტრა TV“. **გაზეთებსა და ჟურნალებში**: „ახალი თაობა“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კვირის პალიტრა“, „ტაბულა“, „ლიბერალი“, „პრაიმ-თაიმი“, „ვერსია“, „ქრონიკა“, „ალია“. **რადიოში**: „საზოგადოებრივი რადიო“, „ფორტუნა“, „რადიო იმედი“, „რადიო უცნობი“, „თავისუფლება“, „მწვანე ტალღა“, „რადიო პალიტრა“, „ცხელი შოკოლადი“. **საინფორმაციო სააგენტოებში**: „ინტერპრესნიუსი“, „პირველი“, „მედიანიუსი“, „ბი-ეს-პრესი“, „კავკას-პრესი“, „ახალი ამბები – საქართველო“, „საინფორმაციო სააგენტო – ფაქტი“, „ექსპრესნიუსი“, „ინფო-9“, „ივერონი“, „ფრონტნიუსი“, „ნიუს.ჯი“.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ჟურნალისტებისთვის უზრუნველყოფს საჭირო რესპონდენტთა შერჩევას, აწვდის მათ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილ სიახლეებისა და პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტები ქმნიან სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტებს, წერენ საინტერესო სტატიებს.

ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ს, „იმედი“, „მაესტრო“, „ერთსულოვნება“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ეთერში მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო მოვლენებზე.

საგარეო ურთიერთობების მხრივ, საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლების მიმართულებით, ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიების, სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე შემუშავებულ იქნა აკადემიური თანამშრომლობის ფორმატი და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის 45 ხელშეკრულება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

მომზადდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შუამდგომლობის მრავალი წერილი თსუ-ს სტუდენტებსა და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალზე ვიზების გაცემის მიზნით; ასევე, მომზადდა ასობით უცხოენოვანი წერილი, მათ შორის, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ათეულობით ინსტიტუციონალური მხარდაჭერის წერილი/მანდატი და სხვ.

2014 წელს ადმინისტრირება გაეწია შემდეგ პროექტებს:

1. **ERASMUS MUNDUS - WEBB/Whole Europe beyond Borders**, საერთო ბიუჯეტი: 3,926,700 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე.
2. **ERASMUS MUNDUS - BACKIS / Between Black and Caspian Seas**, საერთო ბიუჯეტი: 3,960,800 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე.
3. **ERASMUS MUNDUS - ELECTRA /Enhancing learning in ENPI Countries through Clean Technologies and Research-Related Activities**, საერთო ბიუჯეტი: 3,959,725 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე.
4. **ERASMUS MUNDUS - IANUS/Inter-Academic Network Erasmus Mundus**, საერთო ბიუჯეტი: 3,920,475 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე.
5. **ERASMUS MUNDUS – EMBER/Erasmus Mundus Broadening Educational Experiences**, საერთო ბიუჯეტი: 3,090,150 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე.
6. **ERASMUS MUNDUS – HERMES/Humanities Education Revitalized Via Mundus**, საერთო ბიუჯეტი: 2,299,375 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე. ერასმუს მუნდუსის პროექტების ფარგლებში ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევს თსუ-ს სამივე საფეხურის სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისევე როგორც კონსორციუმის წევრი ევროპული უნივერსიტეტების სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას თსუ-ში.
7. **TEMPUS - La MANCHE /Leading and Managing Change in Higher Education** პროექტის მიზანია თითოეულ მონაწილე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ლიდერობის უნარებისა და გავრცელებული მმართველობითი მოდელების გაზიარება/გავრცელება; ევროკავშირის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აპრობირებული და ეფექტური მართვის მოდელების გაზიარება სომხეთის, ბელორუსის, მოლდოვას, უკრაინისა

და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის; პარტნიორი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში მონაწილე სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეებისათვის დიალოგისა და ერთობლივი პრობლემების გადაწყვეტის რეჟიმში მუშაობის ხელშეწყობა, კერძოდ სტუდენტების მხრიდან ინიციატივების სტიმულირება; ცალკეული რეგიონის უმაღლესი განათლების სისტემაზე მორგებული უნივერსიტეტის მენეჯმენტის მოდელის შემუშავება; ცნობიერების ამაღლება ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაზე და ინტერნაციონალიზაციის როლის მნიშვნელობაზე. პროექტის საერთო ბიუჯეტი 930 724,52 ევრო, ხანგრძლივობა - 36 თვე (2012-2015წ.).

8. **TEMPUS - CASEDE /Developing Student Career Services in Georgia** პროექტის მიზანია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების დასაქმების გაუმჯობესება ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საკარიერო საგანმანათლებლო სერვისების შექმნით. პროექტის საერთო ბიუჯეტი: 1,145,889.75 ევრო, ხანგრძლივობა 24 თვე (2012-2014წ.).
9. **TEMPUS – ICAEN/Internationalization in Central Asia and Eastern Neighboring Area** პროექტის მიზანია უპასუხოს პროექტის ბენეფიციარი ქვეყნების (საქართველო, ტაჯიკეთი, მოლდოვა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოთხოვნებსა და გამოწვევებს და ხელი შეუწყოს სწავლის, სწავლების, კვლევის და განათლების მენეჯმენტის გაძლიერებას, ინოვაციების ხელშეწყობისა და ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ასპექტების გაძლიერებით. პროექტის საერთო ბიუჯეტი - 968,355.35 ევრო, ხანგრძლივობა - 36 თვე (2011-2014წ.).
10. **TEMPUS – PACT/Project Actors Capacity Training in Caucasus** პროექტი მიზნად ისახავს კავკასიის უნივერსიტეტებში კადრების მომზადება-გადამზადებას პროექტის განვითარებისა და მენეჯმენტის მიმართულებით დოქტორანტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და ლექტორების მიერ საერთაშორისო პროექტების ინიცირებისა და მართვის უნარების განვითარების გზით. პროექტის საერთო ბიუჯეტი - 573,562.80 ევრო, ხანგრძლივობა- 24 თვე (2013-2015 წ.).
11. **TEMPUS – PIQASA/Promoting Internationalization of HEIs in Eastern Neighborhood Countries through Cultural and Structural Adaptations** პროექტის მიზანია აღმოსავლეთის სამეზობლო სივრცის (საქართველო, სომხეთი, ბელარუსი და უკრაინა) უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემების წინსვლა აღნიშნული ქვეყნების უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მენეჯმენტის სტრუქტურულ და კულტურულ კომპონენტებში ინტერნაციონალიზაციის განზომილების განვითარებისა და ინტეგრაციის გზით. პროექტის საერთო ბიუჯეტი - 118,740.02 ევრო, ხანგრძლივობა: 36 თვე (2013-2016 წ.).
12. **Marie Curie Actions/IRSES -Possibilities and Limits, Challenges and Obstacles of Transferring CEE EU Pre-accession Best Practices and Experience to Moldova’s and Georgias Pre-accession Process** პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევას ევროკავშირისა და მოლოდვის და ასევე ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების მიმართულებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, ევროკავშირში გაწევრიანების პირობები, სხვადასხვა ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ასპექტები დაკავშირებული ორი ქვეყნის (საქართველო და მოლდოვა) ევროკავშირში გაწევრიანების წინა პროცესთან. პროექტის ფოკუსი და პროექტთან დაკავშირებული კვლევები ემყარება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებების გაზიარების

შესაძლებლობებს და ანალიზს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში თსუ-ს პროფესორებს და დოქტორანტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაატარონ 1 სრული თვე ტარტუს (ესტონეთი), ვილნიუსის (ლიტვა) ან მოლდოვის უნივერსიტეტებში. ვიზიტის ფარგლებში მკვლევარების სამუშაო განისაზღვრება რეგულარული თემატური სამუშაო შეხვედრებით და პულიკაციებით. კვლევის შედეგები გამოიყენება ევროკავშირთან დაკავშირებული კურიკულუმის და კურსების გაუმჯობესებასა და განვითარებისთვის ყველა მონაწილე უნივერსიტეტში: ტარტუს უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, მოლდოვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. პროექტის ხანგრძლივობა: 01.03.2013 - 31.03.2017.

13. Mevlana Exchange Program მევლანას გაცვლითი პროგრამა საშუალებას აძლევს თურქეთში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განახორციელონ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 2013-2014 სასწავლო წლიდან და ხელშეკრულება გააფორმა 19 თურქულ უნივერსიტეტთან. მევლანას გაცვლითი პროგრამის ფარგლებში თსუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტებია: ანკარის უნივერსიტეტი, ბალიკესირის უნივერსიტეტი, გაზის უნივერსიტეტი, გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტი, გირესუნის უნივერსიტეტი, დიჯლეს უნივერსიტეტი, დუზჯეს უნივერსიტეტი, ესქიშეჰირის ოსმანგაზის უნივერსიტეტი, იალოვას უნივერსიტეტი, ილდირიმ ბეაზითის უნივერსიტეტი, მეჰმედ აკიფ ერსოის უნივერსიტეტი, რიზეს უნივერსიტეტი, სინოპის უნივერსიტეტი, სელჩუკის უნივერსიტეტი, სტამბოლის მედიპოლის უნივერსიტეტი, ჩანაკალეს 18 მარტის უნივერსიტეტი, ჩუქუროვას უნივერსიტეტი, ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი, ჰითითის უნივერსიტეტი.

14. TSU School of Entrepreneurship 2013-2014 სასწავლო წელს ესტონურ კომპანია „BDA Consulting“-თან თანამშრომლობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „TSU School of Entrepreneurship“ (www.tsu-entrepreneurship.com), რომელიც მიზნად ისახავდა ტრენინგ-პროგრამების საშუალებით, თსუ-ს სტუდენტების მომზადებას მცირე ბიზნესის განსავითარებლად.

პროექტში მონაწილეობდა იურიდიული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების სხვადასხვა საფეხურის 100 სტუდენტი, რომლებიც საწყის ეტაპზე გაერთიანდნენ 12 ბიზნეს იდეის გარშემო და ჩამოაყალიბეს 12 გუნდი. მოგვიანებით, ნახევარფინალში გასულმა ექვსმა გუნდმა 2014 წლის აპრილში ერთკვირიანი სტაჟირება გაიარა ესტონეთის სხვადასხვა კომპანიაში. 2014 წლის ივნისში კი ჩატარდა ფინალური ღონისძიება და საგანგებო ჟიურიმ გამოავლინა 3 საუკეთესო ბიზნეს იდეის ავტორი გუნდი, რომლებსაც გადაეცათ ფულადი ჯილდო.

✓ 2014 წელს ორგანიზება გაეწია ათეულობით საერთაშორისო კონფერენციას, სემინარს, საჯარო ლექციას და რიგ შემთხვევებში უზრუნველყო ღონისძიების ინგლისურ/გერმანულენოვანი თარგმანი.

✓ ასევე ორგანიზება გაეწია 3 საპატიო სტუმრისთვის საპატიო დოქტორის ტიტულის მინიჭების ღონისძიებას: 1. ლუდმილა გრიციკი - გამოჩენილი მეცნიერი, უკრაინელი

ქართველოლოგი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 2. ლუიჯი მაგაროტო - გამოჩენილი მეცნიერი, იტალიელი ქართველოლოგი; 3. ოტო ვილჰელმ ბალთაზარ შულტი - გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი.

✓ თსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტებზე და სტენდებზე გაავრცელა 200-მდე განცხადება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ და დაინტერესებულ პირებს გაუწია კონსულტაციები სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებით.

✓ ორგანიზება გაეწია თსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შესარჩევ კონკურსებს ერასმუს მუნდუსის, მევლანას, მარი კიურის გაცვლითი პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოცხადებული სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 155-მა სტუდენტმა და 23-მა აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

✓ თსუ-სა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და ერასმუს მუნდუსის, მევლანასა და მარი კიურის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 39 გაცვლითი სტუდენტისა და 17 აკადემიური პერსონალის ვიზიტს და უზრუნველყო მათი მოხილობა თსუ-ს პროფილურ ფაკულტეტებზე.

✓ ასევე ორგანიზება გაეწია თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციულ/აკადემიური პერსონალის 55 სამუშაო ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

2014 წლის განმავლობაში *თსუ - საბავშვო უნივერსიტეტი* აქტიურად იყო ჩართული თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებთან საგანმანათლებლო/აღმზრდელობით მუშაობაში. სთავაზობდა მათ სხვადასხვა საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამასა და ღონისძიებას. უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის ფორმატი განსხვავებულია.

უაღრესად პოპულარულია მოსწავლეთა ექსკურსიები პირველ კორპუსში, ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის სხვადასხვა მუზეუმში, სადაც მოსწავლეებს მეგზურობას უწევენ მუზეუმის თანამშრომლები. წელიწადში მუზეუმებს 700-800 მოსწავლე სტუმრობს. საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად ფორმას შემეცნებითი სალექციო კურსები - „ნორჩთა სკოლები“ წარმოადგენს, მაგალითად: „ნორჩ ასტრონომთა სკოლა“, მეცადინეობა ტარდება თსუ მე-2 კორპუსში პლანეტარიუმში და რუსთავში - წლის განმავლობაში - 300-მდე მოსწავლეს მოიცავს; „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“ - ლექციებს კითხულობენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები, წლის განმავლობაში - 150-200-მდე მოსწავლეს მოიცავს; „ნორჩ ექსპერიმენტატორ ფიზიკოსთა სკოლა“ - 150-მდე მოსწავლე; „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“ - 100-მდე მოსწავლე; „ნორჩ გეოგრაფთა სკოლა“ - 200-მდე მოსწავლე;

გამოყენებითი მათემატიკის ზამთრის და ზაფხულის სკოლა თსუ-საბავშვო უნივერსიტეტისა და ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთობლივად უკვე ექვსჯერ ჩატარდა. ამ სკოლის მუშაობაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების მოზიდვას არაქართულენოვანი რეგიონებიდან და უცხოეთიდან (თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან). სულ წლის განმავლობაში - 200-მდე მოსწავლე.

მიმდინარეობს ორი ინტერდისციპლინარული სალექციო კურსი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რომელიც აერთიანებს ფიზიკას, ქიმიას, მათემატიკას, ბიოლოგიას გეოგრაფიასა და ეკოლოგიას, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებებში - რომელიც აერთიანებს ისტორიის, კულტურის, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, იურისპრუდენციის, ფილოსოფიის, პოლიტიკის მეცნიერებებს.

აღნიშნული ინტერდისციპლინარული კურსები უფროსკლასელებს სხვადასხვა შემეცნებით ლექციებს ყოველკვირეულად სთავაზობენ. ლექციებს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან დოქტორანტები კითხულობენ. სალექციო კურსის განმავლობაში ერთ ლექციას, საშუალოდ, 60-80 მოსწავლე ესწრება. თითოეული კურსი საშუალოდ 15-18 კვირაზეა გათვლილი. ამ პროგრამაში მოსწავლეთა ჩართულობა საკმაოდ მაღალია. ორივე კურსის ბოლოს მოსწავლეები, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად მოხსენებებს აკეთებენ.

სკოლისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება პროექტი „თსუ-დესპანი“, რომელშიც 2014/2015 სასწავლო წელს თსუ-ის ხვადასხვა ფაკულტეტის 500-მდე სტუდენტი ჩაება. დაინერგა, პროექტი „გააცანი შენი პროფესია“, რომელიც პროფესიების შესახებ აბიტურიენტების ინფორმირებაში მდგომარეობს. დღემდე ამ ორი პროექტით საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში ათასობით მოსწავლესთან განხორციელდა უშუალო კონტაქტი.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა რეგიონის სკოლებთან ერთობლივი კონფერენციების ჩატარება. ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა კონფერენცია ჯავახეთში, (ახალქალაქი) იმერეთში (ქუთაისში), სამეგრელო (ფოთში), ქვემო ქართლში (რუსთავი). ყოველ კონფერენციაში 20-დან 50-მდე მოსწავლე და მასწავლებელი იღებდა მონაწილეობას.

აღსანიშნავია თსუ საბავშვო უნივერსიტეტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე არსებული თსუ ეკო კლუბის საქმიანობა, რომელიც გარდა თეორიული მუშაობისა, სხვადასხვა კონკურსებსაც აწყოფს. ეკო კლუბის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში წლის განმავლობაში თითქმის 900-მდე მოსწავლეა ჩართული. ეკო კლუბის საქმიანობას კოორდინირებას უწევს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს რეგიონებში, არაქართულენოვან მოსახლეობასთან, სტუდენტურ კლუბებთან და ა.შ. აღსანიშნავია ჩატარებული „ღია კარის დღეები“ და თემატური შეხვედრები უნივერსიტეტში, გასვლითი შეხვედრები რუსთავის, ახალქალაქის, ქუთაისის, ბორჯომის, მარნეულის, ჭიათურას, ქარელის, ფოთის, პერევის, ქობულეთის, ვანის, ჭიათურის, წყალტუბოს, ზესტაფონის, ნინოწმინდის, წალკის, ხაშურის, გორის, კასპის სკოლებში.

2014 წლის მანძილზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ მომზადდა და გამოიცა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 16 ნომერი (აქედან 4 სპეც-ნომერი), რომლის გავრცელებაც (ტირაჟი - 1600 ც.) უნივერსიტეტის მასშტაბით იქნა უზრუნველყოფილი.

2014 წლის მანძილზე მომზადდა 21 გადაცემა „უნივერსიტეტი“ (თითო გადაცემა 45-50 წთ), რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად ყოველ შაბათს გადის მეორე არხის ეთერში;

2014 წლის მანძილზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის ორგანიზებით ჩატარდა პროფესორ მიხეილ ქურდიანის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და მთარგმნელისა და პოეტის - გივი გაჩეჩილაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. ორივე ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები: „როცა კაცს უყვარს“ და „თავშესაფარი - პოეტური თარგმანი“.

მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და დიდი ოდენობისაა უნივერსიტეტის მიერ ოფიციალური მიმოწერის სახით ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დამყარებული ოფიციალური ურთიერთობა, რაც საკანცელარიო წესით აღირიცხება უნივერსიტეტის *კანცელარიის* მიერ და 2014 წელს გამოიხატა შემდეგ რიცხვებში:

2014 წელს კანცელარიაში დარეგისტრირდა 74 975 კორესპონდენცია.

მათ შორის:

შემოსული კორესპონდენცია	45 434
კონტროლზე იყო აყვანილი	5 189
ყველა წერილზე რეაგირება მოხდა დადგენილ ვადაში, (165 წერილს გაუგრძელდა წერილზე მუშაობის ვადა)	
გამოიკა ბრძანება	7 950
გაფორმდა ხელშეკრულება (მემორანდუმი)	8 038(49)
სხვადასხვა ორგანიზაციებში და თსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა კორესპონდენცია	13 553

წინა წელთან შედარებით დოკუმენტბრუნვა გაიზარდა 12.9%-ით და იგი ძირითადად უკავშირდება შემოსული კორესპონდენციისა და ხელშეკრულებების რაოდენობის მატებას. შემოსული კორესპონდენციის რაოდენობის ზრდა განაპირობა სტუდენტთა მოთხოვნებმა სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდისა და სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. სწავლის საფასურის დაბრუნება უკავშირდება შიდა საუნივერსიტეტო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მერიის, მუნიციპალიტეტებისა და სპონსორების მიერ სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებას. ხელშეკრულებების რაოდენობა კი გაიზარდა მოკლევადიანი ხელშეკრულებების, შესყიდვების, საგრანტო და საათობრივი წესით მოწვეული პედაგოგების ხელშეკრულებების ხარჯზე.

გაიზარდა დოკუმენტბრუნვის კოეფიციენტი, კერძოდ, შემოსულია 45434 კორესპონდენცია, ხოლო განხილულია 53 448. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დოკუმენტი უფლებამოსილი პირის რეზოლუციის შესაბამისად განსახილველად გადაეცემა რამოდენიმე სამსახურს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღინიშნოს რომ, ადმინისტრაციული ერთეულების მიერ დოკუმენტების განხილვა და მათზე რეაგირება ხდება ოპერატიულად. კერძოდ, შემოსული კორესპონდენციის 26% შესრულდა დაუყოვნებლივ 1-2 დღის ვადაში, 57% კი 2-15 დღის ვადაში, ანუ 15 დღის ვადაში დასრულდა მუშაობა და კონტროლიდან მოიხსნა შემოსული

კორესპონდენციის 83%. 15-დან - 30 დღეში, დოკუმენტზე მუშაობის ვადაში (30 დღე) დასრულდა მუშაობა კორესპონდენციის 13%-ზე, მხოლოდ კორესპონდენციის 3% მოიხსნა კონტროლიდან 30 დღის შემდგომ პერიოდში. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განპირობებული იყო ძირითადად ობიექტური გარემოებებით და დაკავშირებული იყო ტენდერით რეგულირებად საკითხებთან.

შექმნილია ელექტრონული საქმისწარმოების მონაცემთა ბაზა, რომელშიც წარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის, ასევე თსუ-ში ნაწარმოები სხვა დოკუმენტების აღრიცხვა. მონაცემთა ბაზის საშუალებით ხორციელდება დოკუმენტების დადგენილ ვადებში შესრულების მონიტორინგი და ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. ანალოგიური ელექტრონული საქმისწარმოების მონაცემთა ბაზა მუშაობს ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში, რომელიც ჩვენს მიერ იქნა ადაპტირებული და მორგებული მათ სამუშაო სიტუაციას. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი პროგრამა მუშაობს ავტონომიურ რეჟიმში – თსუ-ში მოქმედი ქსელური სისტემის – კანცელარიის ჯგუფში.

IV. საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა

საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2014 წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა, რაც მოიცავდა უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის იურიდიულ ანალიზსა და რეკომენდაციებს, სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე კანონდარღვევათა მაქსიმალურ პრევენციას, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, სასამართლოში უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას. 2014 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესები (სულ 24), აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 7, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული დავა - 1, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით - 4, სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით - 2, სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით - 2, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით - 1, აკადემიურ თანამდებობაზე აღდგენა - 1, აკადემიური ეთიკის დარღვევასთან დაკავშირებით - 2, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით - 1, უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით - 1, სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესთან დაკავშირებით - 1. 2014 წელს დამთავრებული საქმეები (სულ - 10) აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 5, სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესთან დაკავშირებით - 1, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებული დავა - 2, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობასთან დაკავშირებული დავა - 1.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წელს სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე დაკმაყოფილდა - 76 განაცხადი.

სამართლებრივი შეფასება და რეაგირება გაუკეთდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოსულ 1764 განცხადებაში დასმულ საკითხებს, მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა

ჩაუტარდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს, საგრანტო ხელშეკრულებებს, მომზადდა ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებები.

გატარდა და მიმდინარეობს ღონისძიებები უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები). უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით საკუთრებაში გადმოცემულია 12 საკადასტრო კოდზე რიცხული უძრავი ქონება და ასევე სარგებლობაში გვაქვს 12 საკადასტრო კოდზე რიცხული უძრავი ქონება. 201წ წელს მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის სტრუქტურული ერთეულების დებულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათში ცვლილებების შეტანა და ახალი დებულებების დამტკიცება.

ამასთან, 2014 წელს უნივერსიტეტის სივრცეში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზნით, ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა რვაჯერ. აღნიშნული რაოდენობის აუქციონებიდან იჯარის ფორმით მხოლოდ ერთი ფართი გაიცა ინგლისური ენის სწავლების განვითარებისათვის (მოიჯარე - შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში“).

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს შესაბამისი ინფორმაციის ატვირთვა და განახლება დადგენილი წესით.

საქმიანობის კონტროლის მიზნით უნივერსიტეტის მიერ 2014 წლის განმავლობაში **შიდა აუდიტის** განხორციელების მხრივ გაწეული იქნა მასშტაბური და მრავალმხრივი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებით ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა, რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა. ამასთან, ხორციელდებოდა უნივერსიტეტში შემოსული წერილების (საჩივრები, კითხვები და ა.შ.) შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მომართვის საფუძველზე, პერმანენტულად ხდებოდა კონსულტაციების და სათანადო რეკომენდაციების გაცემა სამუშაო პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში, შესაბამისი მოხსენებითი ბარათების სახით, ხორციელდებოდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

- ✓ შესწავლილი იქნა უნივერსიტეტის კორპუსების (I, II, III, IV, V, VI, VIII, IX, X, XI) ადმინისტრატორების მიერ საწყობიდან გამოტანილი სხვადასხვა სახის სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღრიცხვიანობის დოკუმენტირების მდგომარეობა (მიღება, განაწილება, ხარჯვა).
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შემოსული წერილის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელშეწყობის მიზნით პროგრამის „ზამთრის სკოლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი პროგრამული დაფინანსებიდან 64004,99 ლარის ხარჯად არჩათვლის საკითხს და სამინისტროს ანგარიშზე

დაბრუნებას, შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული დაფინანსების ფარგლებში თსუ-ის მიერ განხორციელებული ხარჯვის საკითხი. ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია წარდგენილი იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. საკითხის შესწავლის შედეგად შესაძლებლად ჩაითვალა სამინისტროს მხრიდან ფაქტობრივ ხარჯად დამატებით 45645,50 ლარის აღიარება. აღნიშნული მოთხოვნა საკითხის შემოწმების ანგარიშის სახით გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულ საკითხზე დამუშავებული და შესწავლილი იქნა 1662 ფურცლად შემდგარი დოკუმენტების რაოდენობა.

- ✓ მოქალაქის განცხადების საფუძველზე, შესწავლილი იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2012 წლის აგვისტოში აკადემიური პერსონალის შესარჩევად ჩატარებული კონკურსის ჩატარების საკითხი. შესწავლის შედეგად სამსახურის მოხსენებითი ბარათით გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია და მითითებები მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის თვალსაზრისით.
- ✓ შესწავლილი იქნა მოწვეული პედაგოგის განცხადება, რომელიც შეეხებოდა მისი კუთვნილი შრომის ანაზღაურების თანხების არასწორ დარიცხვას. აღნიშნული საკითხის შემოწმებით დადგინდა, რომ თსუ-ის ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მასზე სრულად იყო ანაზღაურებული ფაქტობრივად ნამუშევარი დღეებისა და ვალდებულო საათობრივი დატვირთვების შესრულებიდან გამომდინარე თანამდებობრივი სარგო და დანამატი.
- ✓ განხილული იქნა უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში რიცხული ქონების (საბიბლიოთეკო დოკუმენტების) სრული ინვენტარიზაციის აქტი. შესწავლის შედეგად, მიზანშეწონილად ჩაითვალა განმეორებით ჩატარებულიყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში რიცხული ქონების (საბიბლიოთეკო დოკუმენტების) სრული ინვენტარიზაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" შესახებ ინსტრუქციისა და ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 27 ივლისის N6/5 დადგენილებით დამტკიცებული „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" დებულების (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 1 აგვისტოს N12-03 წერილი) მოთხოვნათა დაცვით.
- ✓ განხილული იქნა ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის აპარატის თავმჯდომარის მურმან ცარციძის მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგებს. აუდიტის სამსახურმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" შესახებ ინსტრუქციისა და ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 27 ივლისის N6/5 დადგენილებით დამტკიცებული „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" დებულების (საქართველოს ფინანსთა მინისტრის

- 1996 წლის 1 აგვისტოს N12-03 წერილი) საფუძველზე, გასცა რეკომენდაცია მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვერნარიზაციის სრულფასოვნად ჩატარებასთან დაკავშირებით.
- ✓ უნივერსიტეტში განსახილველად შემოსული იყო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან) მოქალაქის წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა აკადემიური თანამდებობის პირის საქმიანობასთან დაკავშირებით ცალკეული საკითხების შესწავლას. წერილში მოყვანილი საკითხები შესწავლილი იქნა და სათანადო ანგარიში წარედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს.
 - ✓ სამსახურის მიერ სასწავლო ცხრილებზე დაყრდნობით განხორციელდა 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მოწვეული პედაგოგების შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სავალდებულო საათობრივი დატვირთვების შედარება ფაქტობრივ დატვირთვებთან. შესწავლილი იქნა მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული 1108 შრომითი ხელშეკრულება და აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
 - ✓ სამსახურმა შეისწავლა უნივერსიტეტში შემოსული მოქალაქის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ევროპის მცოდნეობაში ინტერდისციპლინურ, ინტერფაკულტეტურ, ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამაზე ჩატარებული მისაღები კონკურსის გამჭირვალეობას და სამართლიანობას. შემოწმების შედეგად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მოქალაქის განცხადებებში დაფიქსირებული ფაქტები ჩათვლილიყო უსაფუძვლოდ.
 - ✓ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არასრულყოფილად წარდგენილ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების) 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ამსახველ ანგარიშებთან დაკავშირებით ჩატარდა წარმოება. გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე თსუ-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა იმ პერსონალის შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც არ უზრუნველყვეს სრულად აკადემიური პერსონალის დროული ინფორმირება და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებში მოთხოვნილი დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ამსახველი ანგარიშების წარდგენა.
 - ✓ შესწავლილი იქნა განცხადება, რომელიც შეეხებოდა თსუ-ის მე-8 კორპუსის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ სახელფასო ბარათის საშუალებით მანიპულირებას. გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, სამსახურმა საკითხი განსახილველად გადასცა თსუ-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას, ხოლო სახელფასო პლასტიკური ბარათით სხვა პირის მიერ მანიპულირების საკითხი შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს.
 - ✓ განხილული იქნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წერილი, რომელიც ეხებოდა მოქალაქის განცხადებას, რომელმაც თავის მხრივ ფაკულტეტს წარუდგინა ე.წ. ცნობა მაგისტრატურაში სტუდენტის სტატუსით სარგებლობის შესახებ და ითხოვდა აღნიშნული სტატუსის დადასტურებას. ვინაიდან არ დადასტურდა თსუ-ის მხრიდან ცნობის გაცემის ფაქტი და ამავდროულად შესაძლებელი იყო, რომ საკითხი შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა მისი შემდგომი მოკვლევის მიზნით მასალები გადაგზავნილიყო სამართალდამცავ ორგანოებში.

- ✓ პერიოდულად ხორციელდებოდა სავლე პრაქტიკებში მონაწილე ჯგუფების მონიტორინგი და დგებოდა მონიტორინგის შედეგების ამსახველი ინფორმაცია.
- ✓ განხილული იქნა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების შესარჩევი საკონკურსო კომისიების მიერ შემაჯამებელი ოქმების პროცედურული დარღვევით აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის ფაქტი. საკითხის შესწავლის შედეგად დადასტურებული იქნა აღნიშნული ფაქტი და საკითხი გადაეცა თსუ-ის აკადემიური პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გასატარებლად იმ საკონკურსო კომისიის წევრების მიმართ, რომლებმაც დაარღვეეს შესაბამისი პროცედურები და ვადები.
- ✓ შესწავლილი იქნა უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წერილი, რომელიც შეეხებოდა 2014-2015 სასწავლო წლის ერთ-ერთ სამაგისტრო პროგრამაზე საგამოცდო ბილეთების ცალკეული საკითხის შეუსაბამობას დამტკიცებულ პროგრამასთან და პრეტენდენტთა ნაშრომების გასწორების ობიექტურობას. საკითხის შესწავლის შედეგად გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისმა სამსახურებმა შეიმუშაონ თსუ-ის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში შესატანი ცვლილებები, რომლებიც სემესტრული დასკვნითი/დამატებითი გამოცდების მსგავსად დაარეგულირებდა სწავლის ყველა საფეხურზე (მათ შორის სამაგისტრო) შიდა მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ პროცედურებს. აგრეთვე გაიცა რეკომენდაცია განხილული ყოფილიყო საკითხი საგამოცდო ბილეთების პროგრამასთან შესაბამისობის საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ გადამოწმების შესახებ; თსუ-ის წესდებიდან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია მაგისტრატურაში და დოქტორატურაში მიღების წესის ფაკულტეტის დებულებაში გაწერის შესახებ; გაიცა რეკომენდაცია საგამოცდო ცენტრის დებულების მოთხოვნიდან გამომდინარე საგამოცდო ბილეთების შედგენის წესის შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ.
- ✓ უნივერსიტეტში შემოსული იყო მოქალაქის ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც შეეხებოდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას. საჩივარი განხილული იქნა და შემუშავდა/გაიცა რეკომენდაცია სამაგისტრო პროგრამაზე განმცხადებლის სწავლის გაგრძელებისა და თანმდევი სამართლებრივი მოქმედებების შესახებ.
- ✓ სამსახურმა განიხილა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ იგი არ აღმოჩნდა ბანკისთვის მიწოდებულ სტუდენტთა სიაში. საკითხის შესწავლის შემდეგ ფაკულტეტებს მიეცათ რეკომენდაციები, თსუ-ის მონაცემთა ბაზაში სტუდენტთა პირველადი რეგისტრაციის, აკადემიური რეგისტრაციის პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და დაცვისათვის შესაბამის საუნივერსიტეტო სამსახურებთან თანამშრომლობის, სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოების, პირადი მონაცემების სტუდენტების ბარათებსა და მონაცემთა ბაზაში შეტანის მოწესრიგების შესახებ. აგრეთვე, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს მიეცა რეკომენდაცია დებულების თანახმად სტუდენტის პირადი საქმის წარმოების კონტროლის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანის და განხილვის, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ინფორმაციის შეტანის და მუდმივი განახლების შესახებ.

✓ შესწავლილი იქნა უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წერილში დასმული საკითხი, რომელიც შეეხებოდა თსუ-ის პირველ კორპუსთან არსებულ შენობაში (ყოფილი სტუდენტური კაფე) დასაქმების ბიურს „ოპტიმალ სერვისი +“-ის ფუნქციონირებას. საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ მოიჯარემ, რომელთანაც თსუ-ს ჰქონდა გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება უნივერსიტეტის სტუმრების, სტუდენტების და პერსონალის კვებით მომსახურების მიზნით, შენობის საოფისე ფართში თვითნებურად განათავსა მასზე რეგისტრირებული შპს „ოპტიმალ სერვისი +“-ის დოკუმენტაცია და ერთი ერთეული კომპიუტერი, რაც შიდა აუდიტის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, გატანილ იქნა მის მიერ. აღნიშნულის შესახებ მოხსენებითი ბარათით ეცნობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (44788/02, 25.12.2014).

სამსახური პერმანენტულად ახორციელებდა ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალის მიერ თსუ-ის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენა. რაზედაც თსუ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებულია შესაბამისი 844 წერილი სათანადო განმარტებებით.

დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით 2014 წელს ტარდებოდა მიმდინარე საქმიანობა. სწორი მენეჯმენტის და არსებული დისციპლინის განუხრელი შესრულების ფონზე 2014 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მატერიალური სიკეთე დანაშაულებრივი ან სხვაგვარი ხელყოფის ობიექტი არ გამხდარა.

სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების გამო მადლობა გამოეცხადა დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის 3 თანამშრომელს. სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ან სხვადასხვა სახის დისციპლინური გადაცდომების გამო დისციპლინური ხასიათის ღონისძიება გატარდა 49 თანამშრომელზე;

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის პირად შემადგენლობას სამუშაო მოტივაციის ამაღლების მიზნით, მოემატა ანაზღაურება თვეში 400 ლარამდე ოდენობით; პირადი შემადგენლობის ჩაცმულობის მოწესრიგების მიზნით შესყიდული იქნა 150 ცალი ზამთრის ქურთუკი; პირადი შემადგენლობის ოპტიმიზაციისა და უკეთესი კადრების მოზიდვის მიზნით მუდმივად ტარდებოდა სამსახურში მისაღები გასაუბრება-კონკურსები. 2014 წელს მიღებული იქნა 55 ახალი თანამშრომელი.

ჩატარებული იქნა არაერთი ტრენინგი, რომელთაგან აღსანიშნავია სახანძრო უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებული სწავლება.

ამ ეტაპზე ერთიან სასიგნალიზაციო სისტემაში ჩართულია და სასიგნალიზაციო პულტის მეშვეობით კონტროლდება 46 ობიექტი. მათ შორისაა სასწავლო კორპუსები, ბიბლიოთეკის საცავები, მნიშვნელოვანი ლაბორატორიები და ცენტრები. ხდება აღნიშნული დაცული ობიექტების ტექნიკური მომსახურება და კონტროლი.

ტექნიკური მომსახურება გაეწია დაცვის ვიდეომეთვალყურეობის სისტემას, რომელიც დღითი დღე მოიცავს უნივერსიტეტის სულ უფრო მეტ სივრცეს. ამ ეტაპზე ვიდეოუსაფრთხოების სისტემა არსებობს თსუ პირველ, მეორე, მეხუთე, მეექვსე, ასევე ბიოლოგიებისა და მაღლივის ბიბლიოთეკის კორპუსში. ტექნიკური მომსახურება გაეწია აგრეთვე ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში,

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში და ელექტრონულ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში არსებულ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემას.

თსუ პირველი და მეორე კორპუსების ეზოს ვიდეოსაფრთხოების მიზნით შესყიდული იქნა ვიდეოსამეთვალყურეო კამერები და მათი მონტაჟისთვის აუცილებელი სამონტაჟო მასალები.

2014 წელს შემუშავდა გეგმა და ეტაპობრივად განხორციელდება უნივერსიტეტის კორპუსების სრული ვიდეოკამერიზაცია. დამონტაჟდება მაღალი ხარისხის IP კამერები, რომელთა მაღალი ხარისხის გარჩევადობით შესაძლებელი გახდება დაცვის თანამშრომელმა ეფექტურად შეასრულოს დაცვის ფუნქციები.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის რადიოკავშირის უზრუნველყოფის მიზნით შესყიდული იქნა 15 ცალი ხელის რადიოსადგური.

თსუ ბიოლოგების კორპუსში არსებულ 207, 204, 201, 203, 202, 208, 220, 420, 419, 418, 417, 415, 414, 413, 411, 412, 407, 410, 408 და 102 ოთახებში გაუმჯობესდა არსებულ სასიგნალიზაციო სისტემა, კერძოდ, დაემატა სპეციალური მოწყობილობები, რომელთა მეშვეობით არსებული სასიგნალიზაციო სისტემა გახდა გაცილებით ეფექტური.

თსუ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შენობაში, სადაც განთავსდა ძვირადღირებული სკანერის დანადგარი დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ჩაერთო ერთიან სასიგნალიზაციო სისტემაში.

თსუ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში, მოეწყო ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც განთავსდა ძვირადღირებული ტექნიკა. აღნიშნული ოთახის ელექტრონული დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ჩაერთო ერთიან სასიგნალიზაციო სისტემაში.

თსუ მაღლივ კორპუსში 612-ე ოთახში გაიხსნა რესურსცენტრი, განთავსდა ძვირადღირებული კომპიუტერების დიდი რაოდენობა. აღნიშნული ოთახის დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ჩაერთო ერთიან სასიგნალიზაციო სისტემაში.

პირველი კორპუსის 111-ე ოთახში (სტუდენტთა მომსახურების ცენტრი), დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ჩაერთო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრში მდებარე სასიგნალიზაციო პულტზე.

თსუ პირველი კორპუსის საგამოფენო დარბაზში, დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ჩაერთო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრში მდებარე სასიგნალიზაციო პულტზე.

თსუ ბიოლოგების კორპუსში, სადაც გათავლისწინებულია ვივარიუმის მოწყობა უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ჩაერთო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრში მდებარე სასიგნალიზაციო პულტზე.

მ. ნოდუას გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმო-ბარო კამერაში ობიექტის გარე პერიმეტრის გასანათებლად დამონტაჟდა შესაბამისი მოწყობილობები, ინსტიტუტის მიერ დასაქმებულ პირებს დაემატათ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის პირადი შემადგენლობის თანამშრომლები;

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს გაეწია შესაბამისი რეკომენდაცია ვიდეოკამერების და მათი მონტაჟისთვის აუცილებელი ტექნიკის შესასყიდი ინვენტარის ხარისხთან დაკავშირებით.

თსუ-ს პირველი კორპუსის გარე პერიმეტრის და ეკლესიისა და სასადილოს მიმდებარე ტერიტორიის უკეთ გაკონტროლების, დაცვის ფუნქციის მაღალი ეფექტურობით განხორციელების მიზნით გაიხსნა საგუშაგო და დაიდგა დაცვის ჯიხური.

თსუ მე-7 კორპუსში (ყოფილი თეუსუ) დაცვის თანამშრომლებისთვის დაცვის ფუნქციების შესასრულებლად, შენობის შესასვლელის ვიზუალური მხარის გათვალისწინებით, დაიდგა დაცვის სამეთვალყურეო კუთხე.

სოფელ მუხათგვერდში მდებარე ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია ობიექტის დაცვა ხდებოდეს შეიარაღებული დაცვის თანამშრომლების მიერ, რომლის ექსკლუზიური უფლებაც გააჩნია სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს. აღნიშნულ ფუნქციას დაცვის პოლიცია ახორციელებს გამოყენებით კვლევით ცენტრში 2011 წლიდან. 2014 წელს გაგრძელდა ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციასთან.

2014 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადმოეცა ქ. თბილისში კონსტიტუციის ქუჩა №2-ში მდებარე ყოფილი მე-7 საავადმყოფოს შენობა. შენობის გარშემო მაცხოვრებელი ლტოლვილთა კონტინგენტი ქმნიდა შენობაში შეჭრის და ძალადობრივი გზით დაკავების საფრთხეს. აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, რის საფუძველზეც ხორციელდება შენობის დაცვა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საპოლიციო ძალით.

უნივერსიტეტის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებზე დამონტაჟებულია სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საგანგაშო ღილაკები. 2014 წელს გაგრძელდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აღნიშნულ საკითხში კვლავ მოემსახურება უნივერსიტეტს.

რადიოკავშირის და სასიგნალიზაციო პულტის ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობას წარმოადგენს რადიო სიხშირე, რომლის სარგებლობით ნებართვის გაცემა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ექსკლუზიური უფლებაა და ნებართვას აქვს 1 წლიანი ვადა. 2014 წელს კვლავ მიღებული იქნა აღნიშნული ნებართვა.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში რადიოკავშირის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის კუთვნილი საბაზო მიმღებ გადამცემი (რეპიტერი) განთავსდა თბილისში მახათას მთაზე მდებარე რადიოტექნიკურ ანძაზე. 2014 წელს აღნიშნული მიზნით გაგრძელდა ხელშეკრულება შპს „ტელერადიოცენტრთან“.

V. საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში

2014 წელს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უნივერსიტეტი“ გამართა შემდეგი ღონისძიებები: კონცერტი თსუ-ს სააქტო დარბაზში - 14 აპრილი; კონცერტი ვარდების მოედანზე - 26 მაისი; სემესტრის დასკვნითი კონცერტი (ცეკვა და სიმღერა - გაერთიანებული) - 11 ივნისი; გასტროლი თურქეთის რესპუბლიკაში, იზმირში (ეკონომიკის უნივერსიტეტი) - აგვისტო; ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამოსის ფესტივალი - 11 ოქტომბერი; კონცერტი თბილისობაზე აბანოთუბანში - ოქტომბერი; ზაურ პაპიაშვილის იუბილე - 9 ნოემბერი; გასტროლი ქალაქ მერსინში - იზმირის საერთაშორისო ფესტივალი - 12-20 ნოემბერი; კონცერტი მარეგულირებელი კომისიის ღონისძიებაზე, მცხეთაში - 23 ნოემბერი.

სტუდენტურმა თეატრმა „სხვენი“ გამართა შემდეგი წარმოდგენები: 2014 წ. იანვარი - „ბრემნელი მუსიკოსები“; 2014 წ. თებერვალი - მოსწავლეთა და სტუდენტთა სამოყვარულო

თეატრების ფესტივალი „IFSSAT” – „მხიარული ნოველები”; 2014წ. მაისი - „ლექსო არ დაიკარგები” (ლიტერატურული კომპოზიცია), სპექტაკლი თსუ-ს სტუდენტებისათვის, სააქტო დარბაზში; 2014წ. ივლისი - „მხიარული ნოველები” წარმოდგენა მთაწმინდის პარკში; 2014წ. ოქტომბერი - „მხიარული ნოველები” - თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, ლატვიის რესპუბლიკა, ქ. რიგა; 2014წ. დეკემბერი - „მხიარული ნოველები” - გერმანიის რესპუბლიკა, ქ. შტუდგარტი.

თანამედროვე ცეკვების სამოყვარულო სტუდიამ ჩაატარა ლათინური ცეკვის სამოყვარულო ჯგუფის საჩვენებელი კონცერტი - 28-29 მაისი.

ჰიპ-ჰოპის მოცეკვავეთა ჯგუფი „TSU Different Crew” მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო პროექტ ნიჭიერში.

თსუ გორდელამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: 17 თებერვალი - ფოლკლორული საღამო, თსუ. ნუგზარ სუტურის ხსოვნის საღამო; 2 აპრილი. - თსუ; 9 აპრილი - თსუ-ს სტუდენტებთან ერთად ღონისძიებაში ჩართულობა მთავრობის სახლის წინ; 12 აპრილი - დედაენის დღესთან დაკავშირებით, თსუ; 13 აპრილი - რიყე. აქცია კონცერტი „ჩვენ ვირჩევთ ევროპას”; 15 აპრილი - „არტ ჰოლი”; 28 აპრილი - ქვემო ალვანი, საქველმოქმედო კონცერტი, ახმეტაში ტაძრის მშენებლობისთვის; 4 მაისი - „ღვინის ფესტივალი 2014”. ბათუმი; 26 მაისი - საქ. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. თავისუფლების მოედანი”; 31 მაისი - ანაკლია. ბიზნეს ფორუმები და მემორანდუმები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის; 11 ივნისი 25 კმ-იანი საავტომობილო გზა სოფლებს - რომკასა და არხოტს დააკავშირა. ახალი გზა და ფესტივალ „ქართული სული 2014”-ს გახსნა ხევსურეთში; 24 ივნისი - „ჰერეთის დღეები”. თსუ. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით; 3 ივლისი - ამერიკის საელჩო. ამერიკის დამოუკიდებლობის დღის კონცერტი; 27 ივლისი „ვაჟაობა 2014”. ჩარგალი; 10 აგვისტო - „თიანეთობა 2014”; 12 აგვისტო - „ცოტნეობა 2014” ხობი; 28-30 აგვისტო - One Caucasus, (მარნეული, წერაქვი); 1 სექტემბერი - „ბათუმობა 2014”; 12 სექტემბერი - საგურამო-„ილიაობა”; 15 სექტემბერი - „ვარდების მოედანი” (რედისონის წინ). ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება სტუდენტებისთვის; 21 სექტემბერი - კუს ტბაა, „სიცოცხლის ფესტივალი”; 25 სექტემბერი - მარტვილი სახალხო ფესტივალი „ჭყონდილობა 2014”-ი; 30 სექტემბერი - დისკის პრეზენტაცია თსუ; 5 ოქტომბერი - ამერიკის შეერთებული შტატები. კენედის ცენტრი; 11 ოქტომბერი - საღამოს 7:00 საათზე: klen JCC 10100 Jamison Ave. Philadelphia. 19116. (267)333-5350; 13 ოქტომბერი - საღამოს 6:00 საათზე: წმ. ნინოს სახელობის ქართული დედათა მონასტერი. 9002 Clemsonville rd. Union Bridge. MD. 21791; 15 ოქტომბერი - საღამოს 7:30 წუთზე: Bells Mill Elementary School. 8225 Bells Mill Rd, Potomac, MD. 20854; 17 ოქტომბერი - საღამოს 7:00 საათზე: St.Philip Orthodox Church. 1970 Clearview rd. Soudertoni. PA. 18964 (215)721-4947; 19 ოქტომბერი - საღამოს 5:00 საათზე : “National” 273 Brighton Beach Ave. Brooklyn. NY, 11235 (917)224-3544; (917) 500-6034; 26 ოქტომბერს, დღის 2:00 საათზე: St.John the Baptist Greek Orthodox Church.2350 E. Dempster st. Des Plaines. IL. 60016; 4 ნოემბერი. თსუ. ლელა ახუაშვილის ხსოვნის საღამო; 2 დეკემბერი - კონსერვატორია, დურგლიშვილის საღამო; 3 დეკემბერი - ქუთაისი. მესხიშვილის თეატრი. შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო დაცვის დღე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით.

ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „უნივერსიტეტი” მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: შეზღუდული შესაძლებლობების პირების (უსინათლოთა) საღამო უნივერსიტეტში; გოგი დოლიძის

ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამო უნივერსიტეტში; ანსაბლის სოლო კონცერტი უნივერსიტეტში; ზამთრის საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო სკოლა 2014-ის ფარგლებში სოლო კონცერტი უნივერსიტეტში; საერთაშორისო ფონდი „TINA TILQVINA“ (ქალები ქალებისთვის) სოლო კონცერტი კავკასიურ სახლში; საუკუნის გზის პროექტის პრეზენტაცია - კონცერტი ბარისახოში; გაია ბაღაშვილის საავტორო გადაცემა „შემოდახილი“; ქართული ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის კონცერტი უნივერსიტეტში; ჯორჯ ბაირონის სადამო უნივერსიტეტში; ინგლისელი მოგზაურის ტომ სევერინის და მისი გუნდის(ე. წ. ახალი არგონავტების „არგო 2014“ სტუმრობა თსუ-ში; ახალი არგონავტების საპატივცემულოდ ანსაბლ უნივერსიტეტის სოლო კონცერტი თბილისის ზღვაძე; გალა კონცერტები უნივერსიტეტსა თუ სხვადასხვა დარბაზებში.

მან-სან-კან-ი: 17 ივნისი - თსუ-ის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის კონცერტი; 7 ოქტომბერი - თსუ-ს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის კონცერტი; 16 ოქტომბერი - თსუ-ს შიდა ჩემპიონატის 2 თამაში ერთ დღეს: პირველი და მეორე მეოთხედფინალური თამაშები; 13 ნოემბერი - თსუ-ს შიდა ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური თამაში; 14 ნოემბერი - თსუ-ს შიდა ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალური თამაში; 23 ნოემბერი - თსუ-ს შიდა ჩემპიონატის ფინალი.

TSU ART: TSU ART Live Perfomance/Mariko Ebralidze - 10 თებერვალი; თსუ-ს საექტო დარბაზი; TSU ART Live Perfomance - 8 მარტი; ტექნიკის მაღაზიათა ქსელი ბეკო-ს აქცია კონცერტი (თბილისის სავაჭრო ცენტრი); TSU ART Live Perfomance - 25 მარტი; ტექნიკის მაღაზიათა ქსელი ბეკო-ს მაღაზიის გახსნა გლდანის ფილიალი; TSU ART Live Perfomance – 29 ივლისი; თსუ-ს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება; თსუ-ში; TSU ART Live Perfomance 15 სექტემბერი; სტუდენტური კონცერტი ვარდების რევოლუციის მოედანი; TSU ART Live Perfomance/Mariko Ebralidze - 27 სექტემბერი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტპლიუსის“ კორპორატიული სადამო ყვარლის ტბაზე; TSU ART Live Perfomance/Mariko Ebralidze - თბილისობა 2014; ვარდების რევოლუციის მოედანი.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში მიღწეული იქნა ისეთი წარმატებები, როგორცაა მშვილდოსნობაში თსუ ვაჟი სპორტსმენების თბილისის ზამთრის ჩემპიონატზე, საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე, აჭარის პირველობაზე, აჭარის ღია ტურნირზე, თბილისის თასზე და სხვა ტურნირებზე მიღწეული საპრიზო პირველი, მე-2 ადგილები და მე-3 ადგილები, მაგიდის ჩოგბურთში უნივერსიადაზე გოგონებს შორის გუნდური და ინდივიდუალური საპრიზო პირველი და მე-3 ადგილები, ათლეტიზმში ქ. კიევში ევროპის ღია ჩემპიონატზე, საქართველოს თასზე, ქ. კიევში მსოფლიო თასზე ათობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი, ალპინიზმში 2014 წლის ზაფხულის ალპინიადაზე მონაწილეობა (მწვერვალ ნინო წმინდის მიმართულებით, 3532 მეტრი), ფუტსალში, სტუდენტურ ლიგაზე მიღწეული მე-2 ადგილი, ქ. ბათუმში უნივერსიადაზე ქვიშის ფეხბურთში დაკავებული მე-4 ადგილი, სტუდენტური ლიგის გათამაშებაზე დაკავებული პირველი ადგილი, ქვიშის ფრენბურთში ქ. ბათუმში ჩატარებული უნივერსიადის ფარგლებში მონაწილეობა, სტუდენტური დღეების ფარგლებში და კალათბურთის სტუდენტური ლიგის ფარგლებში კალათბურთში დაკავებული მე-2 და პირველი ადგილები, ზამთრის სახეობებში, კერძოდ სნოუბორდში კროსსა და თავისუფალ დამშვებაში მიღწეული პირველი და მე-2 ადგილები.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
22	თერმოსტატი	1990	24	394	70	276.00	70	276.00		1.92	755.63	529	30	10	100	100	755.63	0.0
23	ოსცილოგრაფი H071.1	1974	41	223	100	223.00	100	223.00		1.94	432.5	432.5	100	10	100	100	432.5	0.0
24	ხელსაწყო BUT-2	1979	36	839.5	100	839.50	100	839.50		2.2	1847.23	1847.23	100	8	100	100	1847.23	0.0
25	ოსცილოგრაფი	1979	36	84	100	84.00	100	84.00		1.94	162.61	162.61	100	10	100	100	162.61	0.0
26	ძაბვის კომპარატორი P3003	1982	33	149	100	149.00	100	149.00		1.98	295.69	295.69	100	10	100	100	295.69	0.0
27	პოტენციოსტატი ПИ-50-1	1985	30	164	100	164.00	100	164.00		1.92	315.17	315.17	100	10	100	100	315.17	0.0
28	პოლაროგრაფი ПУ-1	1985	30	171.6	100	171.60	100	171.60		1.94	333.07	333.07	100	10	100	100	333.07	0.0
29	პოლაროგრაფი ОН-105	1983	32	161	100	161.00	100	161.00		1.94	312.24	312.24	100	10	100	100	312.24	0.0
30	კომპიუტერი P-2	1998	17								1280		100	20	100	100	1280	0.0
31	ანალიზატორი სპექტრის СК-4-59	1980	35	195	100	195.00	100	195.00		1.94	378.62	378.62	100	10	100	100	378.62	0.0
32	პოტენციოსტატი П-50-11	1979	36	332.8	100	332.80	100	332.80		1.92	639.28	639.28	100	10	100	100	639.28	0.0
33	ანალიზატორი სპექტრის СК-4-59	1976	39	421	100	421.00	100	421.00		1.94	817.13	817.13	100	10	100	100	817.13	0.0
34	რენტგენოაპარატი ДРОН-3	1982	33	761.8	100	761.80	100	761.80		1.94	1478.28	1478.98	100	8.3	100	100	1478.28	0.0
35	პროგრამატორი ПР-8	1985	30	290	100	290.00	100	290.00		1.94	561.75	561.75	100	10	100	100	561.75	0.0
36	პოტენციოსტატი	1986	29	230.7	100	230.70	100	230.70		1.92	443.48	443.48	100	10	100	100	443.48	0.0
37	პოტენციოსტატი	1986	29	272	100	272.00	100	272.00		1.92	523.32	523.32	100	10	100	100	523.32	0.0
38	პერს. კომპიუტერი ГВМ-АТ	1976	39	2121	100	2121.00	100	2121.00		1.94	4114.8	4114.8	100	20	100	100	4114.8	0.0

39	სისტემა CBA-15M	1989	26	985	100	985.00	100	985.00		1.98	1951.33	1951.38	100	10	100	100	1951.33	0.0
40	ლამინატორი PC-595-01	1989	26	348.5	100	348.50	100	348.50		1.94	676.32	676.32	100	10	100	100	676.32	0.0
41	საბეჭდი მოწყობილობა მანქანები	1982	33	173	100	173.00	100	173.00		1.92	332.61	332.61	100	8	100	100	332.61	0.0
42	საბეჭდი მოწყობილობა მანქანები	1982	33	173	100	173.00	100	173.00		1.92	332.61	332.61	100	8	100	100	332.61	0.0
43	საბეჭდი მოწყობილობა მანქანები	1982	33	173	100	173.00	100	173.00		1.92	332.61	332.61	100	8	100	100	332.61	0.0
44	კომპიუტერი "pentium-133"	1998	17								1933		100	20	100	100	1933	0.0
45	პრინტერი HPLJ 5L	1998	17								1002		100	20	100	100	1002	0.0
46	კომპიუტერი P4	2007	8								2250.72		100	20	100	100	2250.72	0.0
47	ქრომატოგრაფი(razoxpom3101)	1979	36	152.5	100	152.50	100	152.50		1.94	295.66	295.66	100	10	100	100	295.66	0.0
48	დერივატოგრაფი	1980	35	307.8	100	307.80	100	307.80		1.92	591.31	591.31	100	10	100	100	591.31	0.0
49	პოტენციოსტატი	1985	30	112	100	112.00	100	112.00		1.98	221.74	221.74	100	10	100	100	221.74	0.0
50	ატომურ აღსორბც. სპექტრომეტრი	1975	40	186.6	100	186.60	100	186.60		1.98	369.57	369.57	100	10	100	100	369.57	0.0
51	მაცივარი "სვიაგა"	1984	31	39.1	100	39.10	100	39.10		1.98	77.42	77.42	100	8.4	100	100	77.42	0.0
52	PNO	1983	32	74	100	74.00	100	74.00		1.92	142	142	100	8	100	100	142	0.0
53	თერმოსტატი ED-05	1983	32	28.8	100	28.80	100	28.80		1.92	55.33	55.33	100	11	100	100	55.33	0.0
54	ავტოტრანსფორმატორი PNO-20	1981	34	28.9	100	28.90	100	28.90		2.11	60.47	60.47	100	10.5	100	100	60.47	0.0
55	სასწორი PPT_500	1985	30	8.7	91	7.90	91	7.90		1.92	16.8	15	9	7	100	100	16.8	0.0
56	ტუმბო	1982	33	46	100	46.00	100	46.00		1.92	88.7	88.7	100	10	100	100	88.7	0.0
57	PNO	1983	32	74	100	74.00	100	74.00		1.92	142	142	100	8	100	100	142	0.0
58	ელ. ლუმელი	1986	29	38	100	38.00	100	38.00		1.98	75.49	75.49	100	10	100	100	75.49	0.0
59	მიკროსკოპი მეტალი MKM	1977	38	33.6	100	33.60	100	33.60		2.2	73.91	73.91	100	8.3	100	100	73.91	0.0
60	ტახომეტრი	1979	36	13.9	100	13.90	100	13.90		1.94	27	27	100	10	100	100	27	0.0
61	პოლაროგრაფი OH-104	1987	28	76	100	76.00	100	76.00		1.94	147.83	147.83	100	10	100	100	147.83	0.0
62	ციფრული ვოლტმეტრი	1989	26	46	90	41.00	90	41.00		1.94	89.8	80	10	10	100	100	89.8	0.0
63	მიკროლაბორატორია	1985	30	15	100	15.00	100	15.00		1.92	29.37	29.37	100	8	100	100	29.37	0.0
64	სტაბილიზატორი	1976	39	19.7	100	19.70	100	19.70		1.98	39.16	39.16	100	12.5	100	100	39.16	0.0
65	გამმართველი	1978	37	22.7	100	22.70	100	22.70		1.94	44	44	100	10	100	100	44	0.0
66	ამპერვოლტმეტრი M2038	1982	33	42	100	42.00	100	42.00		1.94	82.2	82.2	100	10	100	100	82.2	0.0
67	ლაბორატორიული შემრევი	1976	39	41.7	100	41.70	100	41.70		1.92	80	80	100	8	100	100	80	0.0

68	ტრანსფორმატორი ლატრი	1981	34	5.9	100	5.90	100	5.90		2.11	12.37	12.37	100	10.5	100	100	12.37	0.0
69	ლატრიD-9	1981	34	11	100	11.00	100	11.00		2.11	23.31	23.31	100	10.5	100	100	23.31	0.0
70	"-----"	1981	34	11	100	11.00	100	11.00		2.11	23.31	23.31	100	10.5	100	100	23.31	0.0
71	„----- "	1981	34	11	100	11.00	100	11.00		2.11	23.31	23.31	100	10.5	100	100	23.31	0.0
72	"-----"	1981	34	11	100	11.00	100	11.00		2.11	23.31	23.31	100	10.5	100	100	23.31	0.0
73	ვოლტამპერმეტრი	1989	26	19	100	19.00	100	19.00		1.94	36.96	36.96	100	10	100	100	36.96	0.0
74	გამმართველი BC-12	1987	28	41	100	41.00	100	41.00		1.94	79.83	79.83	100	10	100	100	79.83	0.0
75	"-----"	1987	28	41	100	41.00	100	41.00		1.94	79.83	79.83	100	10	100	100	79.83	0.0
76	"-----"	1987	28	41	100	41.00	100	41.00		1.94	79.83	79.83	100	10	100	100	79.83	0.0
77	"-----"	1987	28	41	100	41.00	100	41.00		1.94	79.83	79.83	100	10	100	100	79.83	0.0
78	დანადგარი	1983	32	18.7	100	18.70	100	18.70		1.98	36.96	36.96	100	8	100	100	36.96	0.0
79	"ფუჯიქსი" ნავთქურა	1993	22	43	40	17.30	40	17.30		1.92	83	83	33	8	100	100	83	0.0
80	დერივატორგრაფი D-102	1970	45	45	100	45.00	100	45.00		1.94	86.96	86.96	100	10	100	100	86.96	0.0
81	საწერი მაგიდა	1977	38	15	100	15.00	100	15.00		1.92	28.8	28.8	100	10	100	100	28.8	0.0
82	მაგიდა	1983	32	98	100	98.00	100	98.00		1.92	188.25	188.25	100	10	100	100	188.25	0.0
83	მაგიდა	1983	32	98	100	98.00	100	98.00		1.92	188.25	188.25	100	10	100	100	188.25	0.0
84	მაგიდა	1983	32	98	100	98.00	100	98.00		1.92	188.25	188.25	100	10	100	100	188.25	0.0
85	ტექსას ინსტრუმენტის მანქანაგამ.	1983	32	190	100	190.00	100	190.00		1.92	365	365	100	8	100	100	365	0.0
86	საბეჭდი მანქანა"დარო"	1983	32	19.3	100	19.30	100	19.30		1.92	36.96	36.96	100	8	100	100	36.96	0.0
87	სახვრეტი ჩარხი	1956	59	40	100	40.00	100	40.00		2.2	88.08	88.08	100	15.1	100	100	88.08	0.0
88	ჭანჭიკის საჭრელი ჩარხიIK-62	1956	59	57.7	100	57.70	100	57.70		2.2	126.87	126.87	100	15.1	100	100	126.87	0.0
89	კომპრესორი "ლუქსი"	1965	50	38	100	38.00	100	38.00		2.2	84.58	84.58	100	15.1	100	100	84.58	0.0
90	დანადგარი არგონის შეღუღების	1965	50	37.9	100	37.90	100	37.90		2.11	80.39	80.39	100	20	100	100	80.39	0.0
91	ტუმბო K-45/130	1956	59	26	100	26.00	100	26.00		1.92	49.71	49.71	100	10	100	100	49.71	0.0
92	დაზბა გირაგით	1956	59	73.7	100	73.70	100	73.70		1.98	146.3	146.3	100	10	100	100	146.3	0.0
93	სახეხი მანქანა	2005	10								125		100	10	100	100	125	0.0
94	PH-მეტრი	1984	31	11.4	100	11.40	100	11.40		1.94	22.17	22.17	100	10	100	100	22.17	0.0
95	კონდუქტომეტრი KEL-	1988	27	25.8	100	25.80	100	25.80		1.94	49.79	49.79	100	10	100	100	49.79	0.0
96	დისტილატორიDBM-20	1982	33	19	100	19.00	100	19.00		1.94	36.96	36.96	100	10	100	100	36.96	0.0

97	კომპრესორი YK-2102/4	1975	40	40.3	100	40.30	100	40.30		2.2	88.7	88.7	100	15.1	100	100	88.7	0.0	
98	ხელსაწყო PD-56	1982	33	23	100	23.00	100	23.00		2.2	51	51	100	8	100	100	51	0.0	
99	ტრანსპორმატორი AOC-20	1986	29	23.7	100	23.70	100	23.70		2.11	50	50	100	10.5	100	100	50	0.0	
100	იონომეტრი H-135	1986	29	66.5	100	66.50	100	66.50		1.94	128.67	128.67	100	10	100	100	128.67	0.0	
				24495		23562.00		23562.00			55551.70						55551.7		

კომისიის წევრები:

- _____ ღ. მჭედლიშვილი
- _____ ღ. დვალაძე
- _____ რ. ხარბედა
- _____ რ. ნასარიძე
- _____ თ. ჯღარკავა
- _____ ე. კუპატაძე
- _____ ზ. კილასონია

- _____ მ. ცარციძე
- _____ ა. რაზმაძე
- _____ გ. ტოკლიკიშვილი
- _____ ნ. კუტაღაძე
- _____ ი. მომცველიძე
- _____ რ. გულარაშვილი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის №10091/02, 16.03.2015 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულება**

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი დაარსდა 1944 წლის 29 ივნისს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №103 დადგენილების შესაბამისად, სსიპ - პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად.

ინსტიტუტი მუდამ იყო საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ამ დარგში სამეცნიერო კადრების აღზრდის ფლაგმანი. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განმსაზღვრელად და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინატორად ეკონომიკის დარგში.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი (ინსტიტუტის სიმბოლიკით), საბანკო ქვეანგარიში/ქვეანგარიშები.
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია, უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიმ-

ნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, გამოყენებითი მიმართულების სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით.

2. ინსტიტუტი, შესაბამისი ფაკულტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყოს:
 - ა) სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებას;
 - ბ) სტუდენტთა მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.
3. ინსტიტუტი უფლებამოსილია, განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და ა.შ.).

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

1. ინსტიტუტი შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი და მისი მოადგილე/მოადგილეები, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისაგან:
 - ა) ეკონომიკური თეორიის განყოფილება;
 - ბ) მაკროეკონომიკის განყოფილება;
 - გ) ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება;
 - დ) სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება;
 - დ. ა.) აგრარულ პრობლემათა ლაბორატორია;
 - ე) საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება;
 - ვ) ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილება;
 - ზ) ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება.
2. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრება თავის შემადგენლობიდან.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება 11 წევრისგან.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალიდან

ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 4 წლის ვადით და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. ერთი და იმავე პირის მიერ დირექტორის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, განსაზღვროს ინსტიტუტის პერსონალის სამსახურში მიღების წესი ან ინსტიტუტის პერსონალის ატესტაციის წესი. ინსტიტუტის პერსონალის სამსახურში მიღების ან ინსტიტუტის პერსონალის ატესტაციის წესის გამოყენების ვალდებულება განისაზღვრება ამავე წესის საფუძველზე.
7. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშაოს ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესი და დასამტკიცებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 4. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის/მოადგილეების (დირექცია), სამეცნიერო პერსონალისა (თანამდებობის) და სხვა პერსონალისაგან (სპეციალისტი, ლაბორანტი, ინჟინერი და ა.შ.).
2. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი.
3. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
4. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტებით.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

- ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
- ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
- გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე მიიღოს ანაზღაურება საკონსულტაციო, საექსპერტო, სასწავლო, საგამომცემლო საქმიანობის ან კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
- დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
- ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

- ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
- ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
- გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
- დ) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;
- ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;
- ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
- ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. გარდა მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მის მიერ ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან ზედიზედ 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა ან ზედიზედ 3 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ ჟურნალში სამეცნიერო ნაშრომის გამოუქვეყნებლობა.

მუხლი 6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებანი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:
 - ა) შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რომელთაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
 - ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
 - გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
 - დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
 - ე) შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
 - ვ) თავისი უფლებამოსილების ვადით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს;
 - ზ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
 - თ) ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.
2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა, როგორც წესი, იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც, დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს.

მუხლი 7. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
 - ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
 - ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
 - გ) საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან;
 - დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 8. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის დირექტორი:

- ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;
- ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;
- გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
- დ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტსა და საშტატო ნუსხის პროექტს;
- ე) წინამდებარე დებულების შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
- ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მომზადების საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;
- ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არა უგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;
- ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით ინსტიტუტის პერსონალიდან ნიშნავს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
- კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს;
- ლ) სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ქმნის საარჩევნო კომისიას და ამტკიცებს მისი საქმიანობის წესს;
- მ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;
- ნ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს დირექტორის მოადგილე.
3. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
 - გ) მის ქმედუვნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა;
 - დ) გარდაცვალება;
 - ე) ინსტიტუტის პერსონალიდან გათავისუფლება;
 - ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;
 - ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება.

მუხლი 9. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი.
2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:
 - ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი პერსპექტიული საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
 - ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
 - გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
 - დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
 - ე) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის პროექტს;
 - ვ) დირექტორის წინაშე აყენებს სამეცნიერო თანამდებობიდან პირის გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
 - ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 10. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
 - ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
 - ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
 - გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
 - დ) შემოწირულობები;
 - ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის.

მუხლი 11. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
 - ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
 - ბ) ინსტიტუტის მიერ ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან ზედიზედ 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა;
 - გ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს 2015 წლის 30 აგვისტომდე რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეცნიერო საბჭოს არჩევის დროებითი წესი.

- ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესი უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

მუხლი 13. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

- ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
- წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯაროდ გამოქვეყნების დღიდან.

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგამოცდო ცენტრის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საგამოცდო ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმომადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის საქმიანობის სფერო, ფუნქციები და ამოცანებია:
 - ა) ცენტრის საქმიანობის მიზანია უნივერსიტეტში გამოცდების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა;
 - ბ) სწავლის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
 - გ) უნივერსიტეტში შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერითი, ელექტრონული (ტესტური) გამოცდების ორგანიზება;
 - დ) უნივერსიტეტში მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები წერითი გამოცდების ორგანიზება;
 - ე) სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან გადმოსასვლელი და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისათვის წერითი გამოცდების ორგანიზება;
 - ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცდების პროცესის მარეგულირებელი წესებისა და ინსტრუქციების პროექტების შემუშავება;
 - ზ) შუალედურ, სემესტრულ დასკვნით/დამატებით წერით, ელექტრონულ (ტესტური), ასევე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღებ და მობილობის გამოცდებთან დაკავშირებული შესაბამისი სახის ინფორმაციის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ერთეულებიდან მოთხოვნა და მიღება;
 - თ) ყოველ სემესტრში, აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერითი გამოცდების ჩატარების განრიგის გამოქვეყნება;
 - ი) გამოცდების ჩატარების, გამოცდების შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება დადგენილი წესის შესაბამისად;
 - კ) გამოცდის ჩატარების პროცედურულ საკითხებზე შემოსული საჩივრების განხილვა;
 - ლ) სტუდენტთა შუალედურ, სემესტრულ დასკვნით/დამატებით ელექტრონულ აღრიცხვაზე მონიტორინგის განხორციელება;
 - მ) გამოცდის პროცესის, შედეგების ანალიზის განხორციელება და შედეგების უნივერსიტეტის რექტორისათვის წარდგენა.
2. ცენტრი ახორციელებს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი. ცენტრის უფროსს ჰყავს მოადგილე. ცენტრის სტრუქტურაში ერთიანდება განყოფილებები.

2. ცენტრის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. ცენტრის უფროსის მოადგილეს განყოფილების უფროსებსა და ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ცენტრის უფროსის წარდგინებით.

4. ცენტრის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე ცენტრის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის უფროსის მოადგილე.

5. ცენტრი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა) გამოცდების ელექტრონულად ჩატარების უზრუნველყოფის და ანალიზის განყოფილება;

ბ) წერიტი გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის განყოფილება;

6. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის უფროსი, ცენტრის უფროსის მოადგილე, ცენტრის განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი.

7. ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს.

ე) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, საშტატო განაწილების, მუშაობის ორგანიზაციის, ცენტრის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) შუამდგომლობს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე;

ზ) შუამდგომლობს ფულადი სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

თ) არაუგვიანეს მომდევნო წლის პირველი კვარტლისა წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორს ცენტრის საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს, აგრეთვე ნებისმიერ დროს რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოთხოვნის შესაბამისად;

ი) განიხილავს შემოსულ კორესპონდენციას;

კ) ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას.

ლ) პერიოდულად ისმენს ცენტრის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

მ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ნ) საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებს.

8. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე;

9. ცენტრის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს ცენტრის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა - კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;

ბ) მონაწილეობს ცენტრში შემოსული მასალების განაწილებაში;

გ) ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო ერთეულების შუალედურ, სემესტრულ დასკვნით/დამატებით წერით გამოცდების ჩატარებას;

დ) განიხილავს საგანმანათლებლო ერთეულებზე გამოცდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს და ცენტრის უფროსს წარუდგენს დასკვნას;

ე) ამზადებს სამართლებრივი აქტების პროექტებსა და პასუხს მისთვის გადაცემულ კორესპონდენციაზე;

ვ) მონაწილეობას იღებს ცენტრის მუშაობის სტრატეგიების განსაზღვრაში;

ზ) უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულში დაცული დოკუმენტაციის უსაფრთხოებასა და მასთან დაკავშირებულ სამსახურებრივ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციის კონფიდენციალობას;

თ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, საგამოცდო ცენტრის უფროსის სამსახურებრივი დავალებებით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

10. ცენტრის უფროსის მოადგილე ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

11. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს, ასრულებს ცენტრის უფროსის მოადგილე.

12. განყოფილების უფროსი:

ა) ცენტრის უფროსის მითითებით ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, ცენტრის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;

გ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს ცენტრის უფროსს;

ე) ისმენს საგანმანათლებლო ერთეულების გამოცდების ადმინისტრატორების წინადადებებს, ანგარიშებს და გეგმავს გამოცდებს, ათანხმებს საგანმანათლებლო ერთეულებთან შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერითი გამოცდების განრიგს;

ვ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას;

ზ) გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით წარუდგენს წინადადებებს ცენტრის უფროსს;

თ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

13. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

მუხლი 4. გამოცდების ელექტრონულად ჩატარების უზრუნველყოფის და ანალიზის განყოფილება

გამოცდების ელექტრონულად ჩატარების უზრუნველყოფის და ანალიზის განყოფილების ფუნქციებია:

ა) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის შესწავლა, დამუშავება და შესაბამისი რეაგირება;

ბ) კომპიუტერთან ტესტური გამოცდების ორგანიზება;

გ) ახორციელებს საგამოცდო საკითხების შეტანას პროგრამაში და ტესტების ფორმირებას;

დ) სტატისტიკური მონაცემების დამუშავება;

ე) გამოცდის პროცესისა და შედეგების ანალიზი.

მუხლი 5. წერიტი გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის განყოფილება

წერიტი გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციებია:

ა) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის შესწავლა, დამუშავება და შესაბამისი რეაგირება;

ბ) ყოველ სემესტრში, აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი წერიტი გამოცდების ჩატარების განრიგის გამოქვეყნება;

გ) გამოცდების ჩატარების, გამოცდების შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) გამოცდის ჩატარების პროცედურულ საკითხებზე შემოსულ საჩივრების განხილვა;

ე) შუალედურ, სემესტრულ დასკვნით/დამატებით გამოცდებზე სტუდენტთა ელექტრონული აღრიცხვის მონიტორინგის განხორციელება.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კულტურის და სპორტის დეპარტამენტის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) კულტურის და სპორტის დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას.

2. დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი, სასწავლო-სახელოვნებო მრავალსპექტრიანი საქმიანობა, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია და ამასთან დაკავშირებული განვითარების ერთიანი კულტურული პოლიტიკის შემუშავება;

ბ) სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა მათი ნიჭისა და სურვილის გათვალისწინებით;

გ) თანამედროვე მთხოვნათა შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით;

დ) უნივერსიტეტის სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;

ე) ქართული ხალხური ფოლკლორის პოპულარიზაციაზე ზრუნვა;

ვ) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების, უნივერსიადების ორგანიზება სტუდენტებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად;

ზ) სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტ-სპორტსმენთა მოზიდვა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, მათთვის ხელშეწყობა მსოფლიო და ქვეყნის მასშტაბით უნივერსიადებში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტის სახელით;

თ) გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების მომზადება, სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მოწესრიგება;

ი) უნივერსიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობის, კალათბურთის გუნდის საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

კ) მაღალკვალიფიციური სპორტსმენებისათვის სპონსორების მოძიება და მათთვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის შემადგენლობაში ერთაინდება განყოფილებები.

2. დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით.

3. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით – 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის დავალების შემთხვევაში, ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილესა და თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.

5. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ე) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

ვ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ი) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

კ) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

მ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

6. დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი.

7. დეპარტამენტის ქვემდებარეობაში შედის სხვადასხვა სპორტული სახეობის გუნდები და კლუბები, რომელთა შემადგენლობა მტკიცდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით დეპარტამენტის წერილობითი წარდგინების საფუძველზე.

8. დეპარტამენტის ქვემდებარეობაში შედის სხვადასხვა მიმართულების მუსიკალური ანსამბლები და შემოქმედებითი ჯგუფები, რომელთა წევრების შემადგენლობა მტკიცდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით დეპარტამენტის წერილობითი წარდგინების საფუძველზე.

9. სპორტული გუნდების, კლუბების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან (მუხლებიდან) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სპორტული გუნდების, კლუბების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების წევრებთან/შემადგენლობასთან შესაბამისი კონტრაქტების გაფორმების უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტი უნივერსიტეტის კულტურის და სპორტის დეპარტამენტის წერილობითი წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობის განხორციელების და გეგმა - კოორდინაციაში და ორგანიზაციაში;

ბ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული მასალების განაწილებაში;

გ) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის უშუალო დავალებებს;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოვალეობებს.

მუხლი 5. სპორტის განყოფილება

1. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სპორტული საქმიანობის წარმართვას;

2. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სპორტული სექციების შექმნას;

3. უზრუნველყოფს სპორტის პოპულარიზაციას სტუდენტთა შორის და მათ ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში;

4. პოპულარიზაციას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესს;

5. აყალიბებს სტუდენტურ ნაკრებ გუნდებს და უზრუნველყოფს მათ მომზადებას საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით გამართულ სტუდენტურ ჩემპიონატებსა და უნივერსიადებსზე.

მუხლი 6. კულტურის განყოფილება

1. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში კულტურული ცხოვრების წარმართვას;

2. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი სექციების ჩამოყალიბებასა და მათში სტუდენტთა ჩართულობას;
3. ხელს უწყობს უნივერსიტეტის კულტურულ-შემოქმედებითი ანსამბლების შექმნას და უზრუნველყოფს მათ მომზადებას სხვადასხვა შემოქმედებით ფესტივალზე მონაწილეობისათვის;
4. პოპულარიზაციას უწევს სტუდენტთა შორის ქართულ ფოლკლორს, თანამედროვე და უცხოურ შემოქმედებას.

მუხლი 7. ორგანიზაციულ უზრუნველყოფის განყოფილება

1. უზრუნველყოფს კულტურული და სპორტულ ღონისძიებებს, სტუდენტური თვითმმართველობასთან ერთად სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას;
2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სპორტული და სააქტო დარბაზებით სარგებლობის და ამ დარბაზებში ღონისძიებების ორგანიზების რიგითობის დადგენას;
3. ბავშვთა საფეხბურთო და საკალათბურთო სკოლების, ქართული ცეკვებისა და თანამედროვე ცეკვების სწავლების ორგანიზებისათვის შესაბამისი საქმიანობის წარმოებას;
4. დეპარტამენტისათვის განკუთვნილ ინვენტარზე მატერიალურ პასუხისმგებლობას, სპორტული და კულტურული წრეების საქმიანობის მონიტორინგს;
5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბი „ს.კ. თსუ“-ს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დამფუძნებლის (უნივერსიტეტი) მხრიდან განსახორციელებელი საქმიანობის ორგანიზებას.
6. უნივერსიტეტის სპორტული და კულტურული სფეროს სექციების სრულფასოვანი და გამართული საქმიანობისათვის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების ორგანიზებას.

მუხლი 8. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.